

EMC

პრაქტიკული სახელმძღვანელო

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული
რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

2016 წელი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული
რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



Kingdom of the Netherlands

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მომზადებულია პროექტის - „ტოლერანტობის, რელიგიური თავისუფლების და ადამიანის უფლებათა ხელშეწყობის“ ფარგლებში, რომელსაც „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიციას.

დოკუმენტის ავტორები: მარიამ ბეგაძე, სარა დელისი, თამარ ბასილაია

ასისტენტი: გვანცა ლომია

რედაქტორი: ლაშა ქავთარაძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

მისამართი: ირ. აბაშიძის ქუჩა 12 ა, 0179, თბილისი

ტელ: 2 23 37 06

www.emc.org.ge

fb.com/RIGHTSEMC

twitter@EMCrights

ISBN

სარჩევი

შესავალი	5
1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განმარტება და ფარგლები . . .	7
2. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი პრინციპების მიმოხილვა	10
2.1 დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის მიმოხილვა	10
2.2 სახელმწიფოს რელიგიურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებული სამართლებრივი სტანდარტების მიმოხილვა	12
3. სახელმწიფოს ძირითადი როლი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფაში	14
3.1 რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ქვეშ სახელმწიფო ზოგადი ვალდებულებების ფარგლებში	14
3.2 რელიგიის გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვა	18
3.3 რელიგიური სიძულვილითა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები	17
4. საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხთან დაკავშირებული სტანდარტები	24
5. სახელმწიფოს რეგულაციები რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით	30
5.1 რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია და ფინანსური სარგებელი	30
5.2 საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული რეგულაციები	33
5.3 რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიასთან დაკავშირებული საკითხები . .	34
5.4 კეთილსინდისიერი უარი სამხედრო სამსახურზე	36
5.5 საკითხების რესტიტუცია რელიგიური ორგანიზაციებისთვის	38
6. სიძულვილის ენასთან დაკავშირებული სტანდარტები	39
დასკვნა	44

შესავალი

სახელმწიფოს თუ კერძო პირთა მხრიდან რელიგიისა და რწმენის თავისუფლების წინააღმდეგ ჩადენილი სამართალდარღვევები ზიანს აყენებს თანასწორობის, სამოქალაქო მშვიდობისა და პლურალური საზოგადოების განვითარების პროცესს და შეიძლება გახდეს სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის პოლიტიკური და სოციალური მარგინალიზაციის მიზეზი. სახელმწიფოს მიერ რელიგიური ნეიტრალურობის დარღვევა განსაკუთრებით ართულებს რელიგიურ ჯგუფებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას და წინააღმდეგობაში მოდის თანსწორობისა და რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიის დაცვის პრინციპებთან. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მჭიდრო კავშირი ადამიანის სხვა უფლებებთან, არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან, განაპირობებს სახელმწიფოს კომპლექსური და თანმიმდევრული პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

წინამდებარე გამოცემის მიზანია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების კუთხით არსებული რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების ზოგადი და პრაქტიკული ხასიათის მიმოხილვის მომზადება. გამოცემა განკუთვნილია რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და წევრებისთვის, ასევე რელიგიის თავისუფლებისა და სეკულარიზმის საკითხებზე მომუშავე მედიის წარმომადგენლებისთვის.

საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, ძირითადად, ეფუძნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების საკითხებზე.

1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების განმარტება და ფარგლები

ადამიანის უფლებათა საყოვლთაო დეკლარაცია, მუხლი 18.

ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის შეცვლისა და თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში, ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წესჩვეულებათა შესრულებაში, საჯარო თუ კერძო წესით.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 18.

1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, ჰქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრწამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიას და მრწამსს, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძოდ, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით და მოძღვრებითა და სწავლებით.
2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, ჰქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია ან მრწამსი.
3. რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე, როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით.
4. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და, შესაბამისად, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, საკუთარი მრწამსის შესაბამისად, უზრუნველყონ თავიანთი შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 9 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება)

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.
2. რელიგიის ან რწმენის გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, მუხლი 10 (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება);

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გამოხატოს თავისი რელიგია თუ რწმენა ღოცვით, სწავლებითა და რიტუალების აღსრულებით.
2. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება აღიარებულია და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულია ამ უფლების გამოყენება.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მუხლი 12 (სინდისისა და რელიგიის თავისუფლება):

ყველას აქვს უფლება სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს უფლებას შეინარჩუნო ან შეიცვალო რელიგია ან რწმენა, და თავისუფლად გამოხატო და გაავრცელო რელიგია ან რწმენა, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ.

არავინ უნდა დაექვემდებაროს შეზღუდვებს, რომელიც შეიძლება ლახავდეს მის თავისუფლებას შეინარჩუნოს ან შეიცვალოს რელიგია ან რწმენა.

როგორც მოცემული მუხლებიდან ჩანს, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ორი კომპონენტი აქვს:

ა. უფლება გქონდეს ან არ გქონდეს, მიიღო და შეიცვალო რელიგია ან რწმენა საკუთარი არჩევანით;

ბ. უფლება გამოხატო საკუთარი რელიგია ან რწმენა, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან კერძოდ, ღვთისმსახურების, რიტუალების, რელიგიური საქმიანობისა და სწავლების მეშვეობით;

<p>უფლება გქონდეს რელიგია, იყო ან არ იყო მორწმუნე</p>	<p>რელიგიისა და რწმენის გამოხატვის თავისუფლება</p>
<p>თეისტური, არათეისტური თუ ათეისტური რწმენის, ასევე თავისუფლება, არ მიეკუთვნებოდეს რომელიმე რელიგიას, არის აბსოლუტური, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მასში ჩარევის უფლება არცერთ შემთხვევაში არ აქვს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, რელიგიის თავისუფლების შიდა განზომილება - forum internum (დაცული შინაგანი სფერო) არის აბსოლუტური და არ შეიძლება დაექვემდებაროს რაიმე შეზღუდვას.</p> <p>რწმენისა და რელიგიის თავისუფლების აბსოლუტურ ხასიათს ისიც ადასტურებს, რომ განსხვავებით სხვა უფლებებისაგან, მისი შეზღუდვა დაუშვებელია საგანგებო მდგომარეობის დროსაც.</p> <p>ამასთანავე, „რწმენისა,“ და „რელიგიის,“ განმარტება უნდა მოხდეს ფართოდ და არა მხოლოდ იმ რწმენებთან და რელიგიებთან მიმართებით, რომლებიც ადვილად იდენტიფიცირებადია და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვთ. რწმენისა თუ რელიგიის თავისუფლება, ამ კუთხით, მოიცავს ადამიანის ნებისმიერ მენტალურ პროცესს, მათ შორის, ნებისმიერი იდეის წარმოშობის, აზრის ჩამოყალიბებისა თუ სინდისის თავისუფლებას.</p>	<p>მეორე მხრივ, რელიგიის თავისუფლების გარე განზომილება - forum externum ანუ რელიგიის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური და ის შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, როცა მისმა გამოხატვამ შეიძლება სხვათა უფლებების შელახვა ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა გამოიწვიოს.</p> <p>კერძოდ, სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს აზრის, სინდისისა და რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში გარკვეულ შემთხვევებში. თუმცა, თუკი სახელმწიფო ასე გადაწყვეტს, ის ვალდებულია ამტკიცოს, რომ ჩარევა გამართლებული იყო. მტკიცებისათვის საჭიროა:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩარევა მოხდეს კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, ჩარევას უნდა ჰქონდეს კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში. ამასთანავე, კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი და დაცული იყოს მისი ბოროტად გამოყენებისა და არასწორი ინტერპრეტაციისაგან; 2. ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს. სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ ჩარევა ემსახურებოდა ერთ ან მეტ ალიარებულ კანონიერ ინტერესს, როგორცაა, მაგალითად, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ჯანმრთელობის, მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. 3. ჩარევა უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ ჩარევა შეესაბამება მწვავე სოციალურ საჭიროებას და არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერი საშუალება.

2. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი პრინციპების მიმოხილვა

2.1. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის მიმოხილვა

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუძემდებლური ღირებულებაა თანასწორობა და კლასიკური გაგებით, ის უფლებრივ თანასწორობას გულისხმობს: ყველა ადამიანს, მიუხედავად სხვადასხვა ინდივიდუალური მახასიათებლისა, მინიჭებული აქვს ერთი და იგივე უფლებები. თანასწორობის საწინააღმდეგო ცნებას წარმოადგენს დისკრიმინაცია - გარკვეული ნიშნით ადამიანებისათვის უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. დისკრიმინაციის აკრძალვა თანასწორობის პრინციპის დაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა და ნიშნავს არსებითად თანასწორ პირობებში მყოფი პირების არათანასწორად მოპყრობის და პირიქით - არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფი პირების თანასწორად მოპყრობის აკრძალვას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დისკრიმინაციის თითოეული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ შესწავლას და არსებითად თანასწორობისა თუ უთანასწორობის ობიექტურ შეფასებას.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები თუ სხვადასხვა სახელმწიფოს კონსტიტუცია დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალზე, ანუ იმ საფუძვლებზე, რომლებზეც დისკრიმინაცია შეიძლება მოხდეს, მეტ-ნაკლებად შეთანხმებულები არიან. საქართველოს კონსტიტუციაში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის კლასიკური ნიშნებია:

- რასა;
- კანის ფერი;
- ენა;
- სქესი;
- რელიგია;
- პოლიტიკური და სხვა შეხედულებები;
- ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება;
- წარმოშობა;
- ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობა;
- საცხოვრებელი ადგილი.

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე მხოლოს მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა.“¹ კონსტიტუციაში ხსენებული ნიშნების საფუძ-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, II,პ, 2

ველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, თუმცა ეს არ გამოირიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას.²

ზოგიერთი სახელმწიფო ამ ჩამონათვალს უმატებს, მაგალითად, ასაკსა და სექსუალურ ორიენტაციასაც, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, მიუხედავად იმისა, დისკრიმინაციის რა ნიშნებს ჩამოთვლის კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუცია დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმებში, ეს ჩამონათვალი შესაძლოა არ იყოს ამომწურავი და სხვა მახასიათებლის საფუძველზე უთანასწორო მოპყრობაც დისკრიმინაციად შეფასდეს.

სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაცია შესაძლოა განხორციელდეს პირდაპირი და არაპირდაპირი გზით, რაც ასახულია ქართულ კანონმდებლობაშიც.

1. პირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს ისეთ მოპყრობას ან პირობების შექმნას, რომელიც პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს;
2. არაპირდაპირი/ირიბი დისკრიმინაცია გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ„ კანონის მიღების შემდეგ, დისკრიმინაციის აკრძალვა ვრცელდება როგორც სახელმწიფო ორგანოებზე, ისე კერძო პირებზე და მაღალი საჯარო ინტერსიდან გამომდინარე, ექვემდებარება სამართლებრივ რეაგირებას სასამართლოს თუ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, II.3.1

2.2. სახელმწიფოს რელიგიურ ნეიტრალიტეტთან დაკავშირებული სამართლებრივი სტანდარტების მიმოხილვა

სეკულარიზმის ცნება რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას უკავშირდება, რომელსაც ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. სეკულარიზმის ყველაზე მძლავრი მოძრაობა განმანათლებლობის ეპოქაში დაიწყო, რომელიც, ერთი მხრივ, ეფუძნებოდა რწმენას, რომ ადამიანს არ სჭირდება შუამავალი ღმერთთან³, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა რელიგიის არსებობა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ვერასდროს იქნება მშვიდობიანი, თუკი სახელმწიფო ნეიტრალურ როლს არ იკისრებს. სეკულარიზმი კავშირშია ჰუმანიზმთან - სახელმწიფოს ნეიტრალურობა რელიგიის მიმართ სწორედ იმას ეფუძნება, რომ უმთავრესი ღირებულება ინდივიდუალურად, თითოეული ადამიანია, სახელმწიფოში ადამიანთა რელიგიური მრავალფეროვნება, პლურალიზმი და მშვიდობიანი თანაარსებობა კი - ცივილიზაციის მონაპოვარი.

დღესდღეობით, სხვადასხვა სახელმწიფო სხვადასხვა ხარისხითაა სეკულარული და თავად სეკულარიზმსაც სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მაგალითად, აღსანიშნავია ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიის დაწესების აკრძალვის მუხლი (*establishment clause*), რომელიც, ზოგადად, სახელმწიფო რელიგიის დაწესებას კრძალავს.

გამოყოფენ სეკულარიზმის 3 თეორიას⁴:

1. მკაცრი სეპარაციის თეორიის თანახმად, სახელმწიფო და რელიგია მაქსიმალურად უნდა იყოს ერთმანეთისგან დისტანცირებული და მხოლოდ ამ გზით მიაღწევს სახელმწიფო სეკულარიზმის მაღალ ნიშნულს;
2. ნეიტრალურობის თეორიის თანახმად, სახელმწიფო მხოლოდ ნეიტრალურ პოზიციას უნდა ინარჩუნებდეს რელიგიურ ინსტიტუტებთან მიმართებით და მთავარი მხოლოდ ისაა, რომ სახელმწიფომ არ დაარღვიოს თანასწორობის პრინციპი რომელიმე რელიგიური ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭებით;
3. მორიგების თეორია რელიგიის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად მიიჩნევს და გარკვეულწილად ახალისებს რელიგიური ინსტიტუტების განვითარებას. რელიგიის დაწესების აკრძალვის ნორმას ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში არღვევს თუ თავად დააარსებს რელიგიურ ორგანიზაციას, რელი-

³ Jefferson's Letter to the Danbury Baptists, <http://www.loc.gov/loc/lcib/9806/danpre.html>

⁴ Chemerinsky, E. (2006). Constitutional law (3rd ed.). New York, NY: Aspen, 1707

გიურ ორგანიზაციებში მონაწილეობის/მათი მხარდაჭერის იძულებას ან რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დისკრიმინაციას მოახდენს.

სეკულარიზმის მნიშვნელობა აღიარებულია საერთაშორისო დონეზეც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემთხვევაშიც განმტკიცებულია ნეიტრალურობის თეორია. თუმცა მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ევროსასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს ე.წ. თავისუფალი შეფასების ზღვრის დოქტრინა (**the margin of appreciation doctrine**), რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს გააჩნია დისკრეცია თუ რა ფორმით მოახდენს ადამიანის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების იმპლემენტაციას. სახელმწიფოსათვის დისკრეციის ზღვრის დადგენა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მათ შორის შეზღუდული უფლების შინაარსზე - მაგალითად, კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით, პირადი ცხოვრების რაც უფრო ინტიმურ სფეროს ეხება შეზღუდვა, მით უფრო ვიწრო თავისუფალი შეფასების ზღვარი/მიხედულობის არეალი რჩება სახელმწიფოს და მით უფრო ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოების ცალკეული ქმედება თუ უმოქმედობა ევროსასამართლოს მიერ გადახედვას/რევიზიას.⁵ აქედან გამომდინარეობს ევროპის სასამართლოს ზოგადი მიდგომა შეფასების ზღვრის განსაზღვრისას, როდესაც აქცენტი კეთდება უფლების რამდენად ძირითადი (**core**) თუ პერიფერიული (**periphery**) ნაწილია შეზღუდული.⁶ ამასთან, კონკრეტულად, კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით, შეფასების ზღვრის განსაზღვრისას, სასამართლო ითვალისწინებს რელიგიური პლურალიზმის შენარჩუნების აუცილებლობას, რაც ასე მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის.⁷ ამასთან, სტრასბურგის სასამართლო მოწოდებულია შეიმუშაოს „**Moderated doctrine of precedent**“ - პრეცედენტის შეზღუდული დოქტრინა, რომელიც იქნება გზამკვლევი ეროვნული სასამართლოებისა თუ იმ ორგანოებისათვის, რომლებიც გადანყვეტილებებს იღებენ ადამიანის უფლებათა განვითარების სფეროში. პრეცედენტის შეზღუდულობის მიზანი ისაა, რომ სამართალშეფარდებაში კონვენციამ განაგრძოს იმ ცვლილებების ასახვა, რომლებსაც საზოგადოების მისწრაფებები და განვითარება ავლენს და კონვენცია ცოცხალ ინსტრუმენტად ჩამოაყალიბოს.⁸

⁵ Dudgeon v, the United Kingdom, para 52

⁶ David P. Forsythe and Patrice C. McMahon, eds., *Human Rights and Diversity: Area Studies Revisited*, Human Rights in International Perspective, v. 7 (Lincoln: University of Nebraska Press, 2003), 106.

⁷ Bayatan v. Armenia, para 122

⁸ http://www.coe.int/t/dgi/hr-natimplement/Source/documentation/hb09_rightfreedom_en.pdf

3. სახელმწიფოს ძირითადი როლი რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უზრუნველყოფაში

3.1. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ძველ სახელმწიფო ზოგადი ვალდებულებების ფარგლებში

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ ნეგატიური ვალდებულება, არ ჩაერიონ ინდივიდების რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაში არათანაზომიერად და პოზიტიური ვალდებულება, პატივი სცენ, დაიცვან და წაახალისონ რელიგიისა და რწმენის თავისუფლება. ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ „პლურალიზმი, შეუწყნარებლობა და თავისუფალი აზროვნება არის დემოკრატიული საზოგადოების ნიშნები. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ინდივიდუალური ინტერესები, გარკვეულ შემთხვევებში, დაქვემდებარებული უნდა იყოს ჯგუფის ინტერესებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უმრავლესობის აზრი მუდამ გაბატონებულია. უნდა იქნეს მიღწეული ბალანსი, რომელიც უზრუნველყოფს უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ სამართლიან და სათანადო მოპყრობისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან არიდების ინტერესს შორის“. აღსანიშნავია ისიც, რომ რელიგიისა და რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ მოიცავს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც მიმართული იქნება პირთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისგან დაცვაზე.⁹ ევროპული სასამართლო აღიარებს სახელმწიფოს მხრიდან რელიგიისა და რწმენის სფეროში გარკვეული რეგულირების საჭიროებას, თუმცა ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფომ ნებისმიერი საკითხის რეგულირებისას, რომელიც ეხება სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობასა და რწმენის სისტემას, უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა, რაც უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია სახელმწიფოში პლურალისტური გარემოს არსებობისათვის და დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის.¹⁰ ამასთან, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მიუღებელია სახელმწიფოს როლი „აღმოფხვრას დაძაბულობის მიზეზი სახელმწიფოში პლურალიზმისათვის გამონეულები ზიანის ხარჯზე“ და ამის საწინააღმდეგოდ ამბობს, რომ მან „უნდა უზრუნველყოს მონინააღმდეგე ჯგუფებს შორის შემწყნარებლობის ჩამოყალიბება“. ¹¹ სახელმწიფოს აქვს პირდაპირი ვალდებულება დაიცვას საკუთარ ტერიტორიაზე და იურისდიქციის ფარგლებში მყოფი,

⁹ Choudhury v. the United Kingdom

¹⁰ Metropolitan Church of Bessarabia v. Moldova, para 116

¹¹ Serif v. Greece, para 53

მათ შორის, არაათეისტური და ათეისტური შეხედულებების მქონე პირების, მკვიდრი მოსახლეობისა თუ სხვა უმცირესობების რელიგიის და რწმენის თავისუფლების გარანტიები. ამ კუთხით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას ეფექტური ღონისძიებები, რათა მოახდინოს რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევის, ერთი მხრივ, პრევენცია, მეორე მხრივ, სანქცირება. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პრევენციისათვის საჭირო ზომები, მათ შორის, ეროვნული კანონმდებლობით აკრძალონ რელიგიური სიძულვილის საჯარო ადვოკატირება, მაგალითად, დისკრიმინაციის ნაქეზება, შუღლის ან ძალადობისკენ მოწოდება; ასევე, აწარმოონ ეფექტური გამოძიება, პასუხისგებაში მისცენ დამრღვევები და უზრუნველყონ ეფექტური კომპენსაცია.

ამერიკის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციაში არსებობს რამდენიმე ტესტი კანონების და სახელმწიფოს ქმედებების კონსტიტუციურობის შესაფასებლად. ეს ტესტებია: ე.წ. ლემონის ტესტი, მტკიცების ტესტი და იძულების ტესტი.

ე.წ. ლემონის ტესტი მოიცავს სამ კრიტერიუმს, რათა განხილულ იქნას შეესაბამება თუ არა კანონები და მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რელიგიის დაწესების აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს: 1. კანონსა თუ ნორმას უნდა ჰქონდეს სეკულარული ლეგიტიმური მიზანი; 2. მისი მთავარი მიზანი არ უნდა იყოს რომელიმე რელიგიის წახალისება ან დაკნინება; 3. მან არ უნდა გამოიწვიოს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის გადაჭარბებული აფილაცია (**entanglement**). აღსანიშნავია, რომ საქმეში **Lemon v. Kurtzman**, რომელშიც აღნიშნული ტესტი ჩამოყალიბდა, ტესტის მე-3 კრიტერიუმთან მიმართებით არაკონსტიტუციურად შეფასდა დაფინანსების სისტემა, რომელიც ნებისმიერ რელიგიურ სკოლაში არარელიგიური საგნების სწავლების დაფინანსებას ეხებოდა. იგი სახელმწიფოს მხრიდან ქმნიდა თვითნებობის შესაძლებლობას ჩარეულიყო რელიგიური სკოლების საქმიანობაში, დაფინანსების სათანადოდ გამოყენების შემოწმების მიზნით, და ამასთან, არარელიგიური საგნის მასწავლებლებს შეეძლოთ მიღებული რესურსი რელიგიური მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

მტკიცების ტესტი არ უკრძალავს სახელმწიფოს აღიაროს რელიგია, ან მიიღოს იგი მხედველობაში სამართალშემოქმედების პროცესსა და პოლიტიკაში. ეს ტესტი უკრძალავს სახელმწიფოს გააკეთოს განცხადებები, რომ რო-

მელიმე ერთი კონკრეტული რელიგიური რწმენა არის უპირატესი სხვაზე. მსგავსი მტკიცება არღვევს რელიგიის და რწმენის თავისუფლებას, ვინაიდან როდესაც ძალაუფლება, პრესტიჟი და მთავრობის ფინანსური დახმარება მიემართება მხოლოდ ერთ კონკრეტულ რელიგიურ რწმენას, არაპირდაპირი ზენოლა რელიგიურ უმცირესობებზე, აღიარონ ოფიციალურად მიღებული და გაბატონებული რელიგია ან რწმენა, ნათელია.

იძულების ტესტი სასამართლოების მიერ ხშირად გამოიყენება სასულიერო ლიდერების მიერ ოფიციალური ღონისძიებების დალოცვის ცერემონიალებთან დაკავშირებულ საქმეებში, როცა ისინი რელიგიის მხარდაჭერის თუ რელიგიურ ცერემონიალში მონაწილეობის კუთხით ფსიქოლოგიური იძულების მასშტაბს აფასებენ.

3.2. რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საქმეში *Jewish Liturgical Association Cha'are Shalom ve Tsedek v. France*, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცხოველების საშუალებით შესრულებული რიტუალების ჩატარების თავისუფლების შეზღუდვით, იზღუდება პირის რელიგიის გამოხატვის ფორმები, სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობისა და საჯარო წესრიგის დაცვის მიზნით, ცხოველთა დაკვლის პროცედურების რეგულირება, არ წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას და მე-9 მუხლით გათვალისწინებულ თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევას.

საქმეში *Eweida and others v. the UK*, ევროსასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა დაადგინა და ერთ-ერთი აპლიკანტის რელიგიის თავისუფლებაში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნია დამსაქმებლის პოლიტიკა, რომელიც კლიენტებთან პირისპირ კავშირის მქონე დასაქმებულებს, სამუშაოზე ყოფნის დროს, გულზე ჯვრის ტარებას უკრძალავდა. დამსაქმებელმა მას ალტერნატიული სამუშაო შესთავაზა, სადაც მას ექნებოდა საკუთარი რწმენის შესაბამისად ჯვრის ტარების შესაძლებლობა, თუმცა აპლიკანტმა აღნიშნულზე უარი განაცხადა. ამავე საქმეში, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა, კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა იმ პირის მიმართ, რომელიც კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას აცხადებდა ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა სამოქალაქო კავშირის (civil partnership) რეგისტრაციაზე. კანონში შესული ცვლილებების შემდგომ, დამსაქმებელმა არ გაითვალისწინა დასაქმებულის რელიგიური შეხედულებები და უზრუნველყო პირის გათავი-

სუფლება (exemption) მის რელიგიურ რწმენასთან შეუსაბამო მოქმედებისგან. პროპორციულობის ტესტის განხილვისას კი ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის მიზანი კონვენციით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნის დაცვა იყო.

ამერიკის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია

საქმეზე *Sherbert v. Verner*¹² ამერიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის უფლებაში ჩარევისას, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დაუძლეველი სახელმწიფოებრივი ინტერესი, რათა უარი უთხრას პირს სამსახურიდან გათავისუფლების კომპენსაციაზე, თუ გათავისუფლება მოხდა იმ მიზეზით, რომ სამუშაო წინააღმდეგობაში მოდის პირის რელიგიასთან. ქალბატონ შერბერტს, რომელიც იყო მეშვიდე დღის ადვენტიცტა ეკლესიის წევრი, დამსაქმებელმა გაუზარდა სამუშაო დღეების რაოდენობა კვირაში ხუთიდან ექვსამდე, შაბათის ჩათვლით. მოსარჩელეს რწმენა უკრძალავდა შაბათობით მუშაობას, ამიტომ, შერბერტმა უარი განაცხადა მუშაობაზე, რის შედეგადაც, იგი სამსახურიდან გაათავისუფლეს. შერბერტმა ვერ შეძლო სხვა სამსახურის შოვნა და მოითხოვა კომპენსაცია უმუშევრობისთვის, რაზეც უარი მიიღო. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ უარი შერბერტის მოთხოვნაზე იყო არაკონსტიტუციური ტვირთი მისი რელიგიის თავისუფლებით სარგებლობისთვის. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ ჩამოაყალიბა ე.წ. შერბერტის ტესტი, რომელიც რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისას, როდესაც პირი დგას არჩევანის წინაშე, იმოქმედოს თუ არა თავისი რწმენის შესაბამისად, მოსალოდნელია სანქციონისა თუ გარკვეული პრივილეგიის ჩამორთმევის გამო, სავალდებულოდ მოითხოვს სახელმწიფოსგან დაუძლეველი ინტერესის დემონსტრირებას.

3.3. რელიგიური სიძულვილითა და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE) სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ორი ელემენტით განსაზღვრავს: 1. ეს არის სისხლისამართლებრივი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით; 2. სამართალდამრღვევის განზრახვა დანაშაულის მსხვერპლის მიმართ დაკავშირებულია მსხვერპლის ისეთ მახასიათებელთან, როგორცაა მისი რასა, ეთნიკურ კუთვნილება, რელიგია, სექ-

¹² *Sherbert v. Verner* 374 U.S. 398, June 17, 1963

სუალური ორიენტაცია¹³ და ა.შ. რელიგიური სიძულვილით მოტივირებული ძალადობრივი აქტი (მკვლელობა, წამება, სექსუალური ძალადობა, გატაცება, არაადამიანური ან დამამცირებელი ქმედება) შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლის, ისე კერძო პირთა მიერ და ეფუძნება მსხვერპლის წამდვილ თუ სავარაუდო რელიგიას, ან ამის შესახებ დამრღვევი პირის წარმოდგენას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საქმე *Karahmed v. Bulgaria*¹⁴ შეეხებოდა შემთხვევას, რომელიც მოხდა 2011 წელს, ქალაქ სოფიაში, ერთადერთი მოქმედი მეჩეთის წინ. ბულგარული პოლიტიკური პარტიის „ატაკას“, 100-150-მდე წევრი და მხარდამჭერი შეიკრიბა აქციაზე მეჩეთის წინ, სადაც სალოცავად უკვე იკრიბებოდა მეჩეთის მრევლი. სასამართლოსათვის მიწოდებული ვიდეოჩანაწერებით ირკვევა, რომ „ატაკას“ დემონსტრაციის მონაწილეებს რამდენიმე პოლიტიკური გზავნილის გაჟღერება სურდათ, მათ შორის, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებისათვის წინააღმდეგობის განწევასთან დაკავშირებით, ერდოლანის პოლიტიკის მიმართ პროტესტის გამოხატვა. ასევე, აქციის მიმდინარეობისას, მონაწილეებს საკუთარ მანქანებში ჩართული ჰქონდათ ბულგარული პატრიოტული მუსიკა. ამავე ვიდეოჩანაწერების მიხედვით, „ატაკას“ დემონსტრანტები აგრესიულად იყვნენ განწყობილნი მეჩეთის წინ შეკრებილი პირების მიმართ, მათ შეურაცხყოფელი ტერმინებით მიმართავდნენ და მოუწოდებდნენ წასულიყვნენ თურქეთში. მეჩეთის იმამმა მლოცველებს მოუწოდა არ აპყლოდნენ დემონსტრანტების აგრესიას და სიმშვიდე შეენარჩუნებინათ, თუმცა ლოცვის დაწყებისას, ერთ-ერთმა დემონსტრანტმა, ლოცვის ხმის გადასაფარავად, ხმის გამაძლიერებელი ჩართო შენობის სახურავზე. მას სხვა დემონსტრანტებიც შეუერთდნენ ხელკეტებითა და მეტალის საგნებით. ვიდეოჩანაწერებში ჩანს, რომ პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი ცდილობდა დემონსტრანტების შეჩერებას, თუმცა უშედეგოდ. ევროპულ სასამართლოში აღნიშნული შემთხვევა მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-9 (რელიგიის და რწმენის თავისუფლება) მუხლებთან მიმართებით გასაჩივრდა. წამების აკრძალვის კუთხით, სასამართლომ ვერ აღმოაჩინა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დასადგენად საჭირო ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვის ნიშნები და, შესაბამისად, უარყო მე-3 მუხლის დარღვევა. მე-9 მუხლთან დაკავშირებით, მოსარჩელემ აღნიშნა, რომ „ატაკას“ დემონსტრაცია მათი აქტივობების ზოგადი კონტექსტის შესაბამისად უნდა

¹³ OSCE/ODIHR Hate Crime Reporting. <http://hatecrime.osce.org/>

¹⁴ *Karahmed v. Bulgaria*, no. 30587/13, 24 February 2015

შეფასებულიყო. „ატაკას„ ანტითურქული პოზიცია ცნობილი იყო სახელმწიფოსთვის და მას ძალადობის პრევენციისათვის მეტი ძალისხმევა უნდა გაეღო. ევროსასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია „ატაკას„ ზოგადი პოლიტიკური ორიენტაციის გათვალისწინების აუცილებლობის შესახებ და განაცხადა, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტროს გადწყვეტილება პოლიციელების დემონსტრაციის ადგილზე მობილიზების შესახებ ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ იცოდა დემონსტრაციის სავარაუდო ძალადობრივი ხასიათის შესახებ„. ამის მიუხედავად, მლოცველებისა და დემონსტრანტების დაპირისპირებას მხოლოდ ათეული პოლიციელი უმკლავდებოდა, რაც, შედეგების გათვალისწინებით, არასაკმარისი აღმოჩნდა. შესაბამისად, სასამართლომ დადგინა რომ, „ადგილობრივი ხელისუფლების არაეფექტურობამ დაეცვათ სათანადო ბალანსი მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებში და უზრუნველყოთ დემონსტრანტების შეკრების თავისუფლებისა და მოსარჩელების ერთობლივი ლოცვის ეფექტური და მშვიდობიანი დაცვა, ისევე როგორც ხელისუფლების შემდგომი მარცხი, რომ სათანადოდ მოახდინა რეაგირება ამ შემთხვევებზე, ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა მე-9 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები.“¹⁵

საქმეში *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*¹⁶ საუბარია გაერთიანების 97 ნევრზე განხორციელებულ შეტევაზე ექსტრემისტი მართლმადიდებელი ჯგუფის მხრიდან. ამ ადამიანებზე, მათ შორის, ქალებსა და ბავშვებზე განხორციელდა ძალადობა, ხოლო როდესაც მსხვერპლებმა მოახერხეს გაქცეულიყვნენ ოთახიდან, მათ გარს შემოერტყა მართლმადიდებელ მრევლის კორდონი. მსხვერპლებს აღენიშნებოდათ სხვადასხვა სახის დაზიანება. მოსარჩელები უთითებდნენ, რომ პოლიცია წინასწარ იყო ინფორმირებული სავარაუდო თავდასხმის შესახებ, თუმცა პრევენციისათვის მას არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს¹⁷. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამრღვევების იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო, საგამოძიებო ორგანოებმა არ აღკვეთეს მათი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები. მოსარჩელებს არც იმის შესახებ ეცნობათ, რომ გარკვეულ ეტაპზე გამოძიება საერთოდ შეჩერებული იყო, რის გამოც, მათ ვერც სასამართლოს მიმართეს¹⁸. ასევე, მოსარჩელეთა მტკიცებით, ექსტრემისტი ჯგუფის ხელმძღვანელი ბასილ მკალავიშვილი აგრძელებდა ძალადობრივ ქმედებებს, რასაც საჯარო ხასიათი ჰქონდა - ის რამდენჯერმე

¹⁵ *Karahmed v. Bulgaria*, no. 30587/13, 24 February 2015; §111

¹⁶ *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, 3 May 2007

¹⁷ *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, 3 May 2007, §81

¹⁸ *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, 3 May 2007, §101

გამოჩნდა ტელევიზიაში, თუმცა საგამოძიებო ორგანოებს არ უცდიათ მისი დაკავება¹⁹. ევროსასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, რამდენიმე შემთხვევაში, ძალადობის სიმწვავემ მიაღწია არაადამიანური მოპყრობის ხრისხს, რაც დადასტურდა შესაბამისი მტკიცებულებებით - ვიდეოჩანაწერებითა და სამედიცინო დასკვნებით. მით უმეტეს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არც უარუყვია ამ ფაქტების არსებობა. შესაბამისად, სასამართლომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული არაადამიანური მოპყრობის აკრძალვასთან მიმართებით პოზიტიური ვალდებულების დარღვევა²⁰. ზოგიერთი მოსარჩელის მიმართ, ძალადობის სიმწვავეს ზუსტი ხარისხის დადგენა ვერ მოხერხდა, თუმცა, ვიდეოჩანაწერებში აღბეჭდილი ქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დამამცირებელი მოპყრობის არსებობა²¹. ამასთან, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული რელიგიის და რწმენის თავისუფლებიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა შემთხვევის ყველა მსხვერპლი იეჰოვას მოწმის მიმართ, რელიგიური ჯგუფის პირდაპირი დევნისას, სახელმწიფოს მიერ გამოსხატული უმოქმედობისა და ინდიფერენტულობის გამო.²²

საქმეზე *Beghaluri and others v. Georgia*²³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დააკმაყოფილა იეჰოვას მოწმეთა სარჩელი, რომელშიც 99 განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ისინი იყვნენ რელიგიური ნიშნით სიძულვილით მოტივირებული ფართომასშტაბიანი დევნის მსხვერპლნი 2000-იან წლებში. მოსარჩელებმა დაახლოებით 160 სარჩელი და განცხადება შეიტანეს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოში და მიმართეს მთავარ პროკურორს, თუმცა უშედეგოდ. ძალადობის აღნიშნულ ფაქტებზე საგამოძიებო ორგანოების უმოქმედობაზე შეტანილი სარჩელი სახელმწიფოს მიერ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის (კონვენციის მე-3 მუხლი) პოზიტიურ ვალდებულებას ეფუძნებოდა. ევროპულმა სასამართლომ მსჯელობისას აღნიშნა, რომ იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებებს უშუალოდ სახელმწიფოს წარმომადგენელი პირი ახორციელებს, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა დგინდება მაშინაც, როდესაც სახელმწიფო არ ასრულებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს კერძო პირების მიერ ასეთი ქმედების განხორ-

¹⁹ *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, no. 71156/01, 3 May 2007, §105

²⁰ *97 members of the Gldani congregation of Jehovah's witnesses and others v. Georgia* (ECtHR 2007)

²¹ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014

²² *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014

²³ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014

ციელების თავიდან აცილება და ამასთან, სავარაუდო ფაქტების შემთხვევაში, მათი ეფექტური გამოძიება²⁴. ევროპულმა სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა, მისი სიმწვავის ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლოა არაადამიანურ მოპყრობას გაუტოლდეს²⁵. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ, რომ საფრთხე იყო რეალური, დაუყოვნებლივი და განჭვრეტადი, მათ არ მიიღეს პრევენციის შესაბამისი ზომები.²⁶ მოცემულ საქმეში, სავარაუდო ძალადობასთან მიმართებით, გამოძიების ეტაპზე საერთოდ არ დაკითხულან სამართალდამრღვევები, მათ შორის, მოსარჩელეთა მიერ მითითებული თანამდებობის პირები²⁷. რიგ შემთხვევებში, საგამოძიებო ორგანოებმა ვერ შეძლეს სავარაუდო სამართალდამრღვევების იდენტიფიცირება, მიუხედავად იმისა, რომ მათი ვინაობა პირდაპირ იყო მითითებული მოსარჩელეთა განცხადებებსა თუ სარჩელებში და მათი ამოცნობა ფოტოებისა და ვიდეოჩანაწერების მეშვეობითაც შეიძლებოდა²⁸; ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება აღეკვეთა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა და ეწარმოებინა ეფექტური გამოძიება. სასამართლომ მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო რელიგიური მოტივით ჩადენილი ძალადობის შეჩერება და პრევენცია. მან საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც ან პირდაპირ მონაწილეობდნენ ძალადობაში, ან იცოდნენ ძალადობის შემთხვევების შესახებ, შექმნა ერთგვარი „დაუსჯელობის კლიმატი“, რამაც იეჰოვას მოწმეებზე ძალადობის სხვა შემთხვევები წაახალისა და შესაბამისად, სახელმწიფომ დაარღვია მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებები²⁹. გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეში, რამდენიმე პირის მიმართ ძალადობის შემთხვევაში, დარღვევა დადგინდა რელიგიის თავისუფლების და ასევე დისკრიმინაციის ამკრძალავ მე-14 მუხლთან მიმართებითაც, ვინაიდან მოსარჩელებს მათზე განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედების გამო, შეეზღუდათ რელიგიის თავისუფლება.

საქმეში *Milanovic v. Serbia* განმცხადებელი - სერბეთში ჰარე კრიშნას რელიგიური გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერი - რამდენჯერმე სცემეს თავისი ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე. მან თავდასხმის შესახებ პოლიციას შეატყობინა და განაცხადა, რომ მისი ვარაუდით, ეს ჩაიდინეს, ულტრამემარჯვენე

²⁴ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014, §97

²⁵ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014, §101

²⁶ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014, §121

²⁷ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014, §136

²⁸ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014, §137

²⁹ *Begheluri v. Georgia*, no. 28490/02, 7 October 2014, §145

ექსტრემისტული ჯგუფის წევრებმა. პოლიციამ დაკითხა მონმეები და რამდენიმე სავარაუდო ეჭვმიტანილი, მაგრამ თავდასხმელები ვერ გამოავლინა, ვერც სავარაუდო ექსტრემისტულ ჯგუფზე მოაგროვა მეტი ინფორმაცია. პოლიციის ერთ-ერთ ოქმში აღნიშნული იყო განმცხადებლის „კარგად ნაცნობი„ რელიგიური კუთვნილება და ხაზგასმული იყო „მისი საკმაოდ უცნაური გარეგნული გამომეტყველება„. პოლიციელები სხვა ოქმში ასევე აღნიშნავდნენ, რომ განმცხადებელმა „ხაზი გაუსვა„ თავის რელიგიურ კუთვნილებას, ამიტომ არ გამოირიცხებოდა მისი მხრიდან თვითდაზიანების ვერსიაც. სასამართლომ აღნიშნა, რომ რასობრივი მოტივით ჩადენილ არასათანადო მოპყრობის საქმეთა მსგავსად, ძალადობრივი თავდასხმების გამოძიებისას, სახელმწიფო ორგანოებს ეკისრებათ დამატებით ვალდებულება - გადადგან ყველა გონივრული ნაბიჯი რელიგიური მოტივების გამოსავლენად და იმის დასადგენად, ახლდა თუ არა ამ მოვლენებს რელიგიური სიძულვილი ან ცრურწმენა, მაშინაც კი, როდესაც არასათანადო მოპყრობა მომდინარეობდა კერძო პირისგან. სამართალდამცავი ორგანოების მიერ, არსებითად განსხვავებული მდგომარეობის შეუფასებლობა შეიძლება წარმოადგენდეს გაუმართლებელ დისკრიმინაციულ მოპყრობას კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით.³⁰ სასამართლომ მიუღებლად შეაფასა გამოძიების განულება - დამნაშავეთა გამოსავლენად და დასასჯელად საჭირო ქმედების განხორციელების გარეშე, ოქმებში პოლიციელების მიერ განმცხადებლის რელიგიისა და მისი ბრალდებების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენება, მტკიცებულებების გარეშე. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად, განმცხადებლის მიერ რელიგიურ მოტივთან დაკავშირებით მითითებული რამდენიმე საკითხის სამართალდამცავი ორგანოების მიერ შესწავლისა, ეს ოდნავ მეტი იყო, ვიდრე *pro forma* გამოძიება.³¹

საქმეში *Turkan Cakir v. Belgium* განმცხადებელი ჩიოდა დაკავებისას პოლიციელის მხრიდან სასტიკ მოპყრობაზე, რამაც მძიმე და ხილული დაზიანებები გამოიწვია. ამას თან სდევდა მუქარა და რასისტული შინაარსის შეურაცხყოფის ფაქტები. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გამოყენებული ძალადობით დაირღვა განმცხადებლის მე-3 მუხლით დაცული უფლება - არ დაქვემდებარებოდა არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ საპროცესო ვალდებულების დარღვევა, რადგან მან ვერ შეძლო, სათანადო გამოძიება ეწარმოებინა აღნიშნულ ფაქტებზე. ამასთან, სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევაც, მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, დისკრიმინაციული და რასისტული

³⁰ *Milanovic v. Serbia*, პარა 96-97, *Members (97) of the gldani congregation of jehovah's witnesses v. Georgia*, 138-142

³¹ *Milanovic v. Serbia*, პარა 100

მოტივებით ჩადენილი დანაშაულის არაეფექტურ გამოძიებასთან მიმართებით.³²

ევროპულ სასამართლოს განსხვავებული მიდგომა აქვს სახელმწიფოს ვალდებულების თაობაზე რელიგიური ჯგუფების გრძნობების შეურაცხყოფასთან მიმართებით, რაც არ ებმის რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას. საქმეში *Choudhury v. the United Kingdom*, სასამართლომ დაუშვებლად ცნო აპლიკანტის მოთხოვნა, რომელიც კონვენციის მე-9 მუხლიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საფუძველზე ითხოვდა სალმან რუშდის წიგნით მუსლიმი მორწმუნეებისათვის გამონკვეული შეურაცხყოფისას სახელმწიფოს უმოქმედობის კონვენციის დარღვევად ცნობას. სასამართლომ უარყო აპლიკანტის მოთხოვნა და დაუშვებლად ცნო საქმე, რადგან მისი განმარტებით, ზეპირი თუ წერილობითი გამოხატვის ფორმით რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისგან დაცვის პოზიტიური ვალდებულება არ არსებობდა, რადგან ასეთი სიკეთის დაცვა არ იყო მე-9 მუხლით დაცული სფეროს ნაწილი.³³ მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, საქმეში *Dubowska & Skup v. Poland*, დასაშვებობის საკითხის განხილვისას, სასამართლომ დააკონკრეტა, რომ არ არსებობს გარანტირებული 'უფლება, რომ გქონდეს შესაძლებლობა რაიმე სამართალწარმოება აწარმოო მათ წინააღმდეგ, ვინც ავტორობით თუ გამოქვეყნებით შეურაცხყოფას აყენებს ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის გრძნობებს' და შესაბამისად, პოზიტიური ვალდებულების არარსებობის გამო, დაუშვებლად ცნო საქმე.³⁴

ამერიკის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Larson v. Valente* დაადგინა დისკრიმინაცია რელიგიური ორგანიზაციების მიმართ, ხაზი გაუსვა ნეიტრალიტეტისა და რელიგიების პრეფერენციების აკრძალვის პრინციპებს და აღნიშნა, რომ რელიგიის თავისუფლება გარანტირებული იქნება მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში. დაწესებული რეგულაციების პირობებში, მოსარჩელე ეკლესია ექვემდებარებოდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებას, რადგან მის მიერ მიღებული შემოსიწოდებების 50%-ზე მეტი იმ პირებისგან მოდიოდა, ვინც ამ ეკლესიის ოფიციალური წევრი არ იყო. სასამართლოს მსჯელობის თანახმად, რელიგიის თავისუფლება

³² <http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:IXzxMZEGLUwJ:hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/%3Flibrary%3DECHR%26id%3D003-2659720-2907427%26filename%3D003-2659720-2907427.pdf+%&cd=1&hl=ka&ct=clnk&gl=ge>

³³ *Choudhury v. the United Kingdom* (ECommHR 1991), admissibility decision

³⁴ *Dubowska & Skup v. Poland* (ECommHR 1997), admissibility decision

დაცულია მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონმდებელს და ამომრჩეველს აქვთ ვალდებულება პატარა, ახალი და არაპოპულარული რელიგიების მიმართ საკუთარი რელიგიის ან რწმენის ანალოგიური მოპყრობა აჩვენონ. აღნიშნული გადაწყვეტილებით რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას დაუკავშირდა რელიგიის თავისუფლება და მათ შორის ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის პრინციპები. გადაწყვეტილებით აღიარებული იყო კანონით სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციაზე სხვადასხვა შედეგის გამონვევის შესაძლებლობა, თუმცა, მკაფიოდ იყო ხაზგასმული ასეთი კანონის სეკულარულ მიზანსა და კრიტერიუმებზე დაფუძნების აუცილებლობა.

4. საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლების საკითხებთან დაკავშირებული სტანდარტები

მე-9 მუხლის პირველი პუნქტი კონკრეტულად ეხება „სწავლებას“, როგორც რწმენის გამოსატვის აღიარებულ ფორმას. თუმცა, ეს უფლება არ არის აბსოლუტური და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეულ შემთხვევებში. განათლების სფეროში ინდოქტრინაცია აკრძალულია და ამასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლის საფუძველზე. რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) შეფასებით, რელიგიის სწავლება სკოლაში უნდა იყოს არჩევითი, ხოლო თუ სავალდებულოა, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სწავლება ასახავდეს იმ მრავალფეროვან საზოგადოებას, რომელშიც მოსწავლეები ცხოვრობენ და არ იყოს რომელიმე რელიგიური ჯგუფის ინტერესებზე მორგებული. ECRI-ის ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია³⁵, რომელიც სკოლაში სწავლებას უკავშირდება, ხაზს უსვამს სწავლებისას ნეიტრალიტეტის დაცვას და სახელმწიფოებს მოუწოდებს განათლების სფეროში მომუშავე პირების გადამზადებისაკენ, რათა მათ შეძლონ მულტიკულტურულ გარემოში მუშაობა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საქმეში *Mansur Yalcin and Others v. Turkey*, სადაც ალევის მიმდევარი განმცხადებელი დაობდა, რომ სკოლაში რელიგიისა და ეთიკის სავალდებულო გაკვეთილების შინაარსი დაფუძნებული იყო ისლამის სუნიტურ გაგებაზე, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-2 მუხლით დაცული განათლე-

³⁵ http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/GPR/EN/Recommendation_N10/eng-recommendation%20nr%2010.pdf

ბის უფლება. სახელმძღვანელოებში ალევნი მოხსენიებული იყო ტრადიცი-
ად და არა რწმენად. მოსარჩელებმა განათლების სამინისტროს მოსთხო-
ვეს საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვა, რათა გადაეხედათ სასკოლო
პროგრამა და მასში შეეტანათ ინფორმაცია ალევნი კულტურის შესახებაც,
თუმცა უშედეგოდ. ევროსასამართლომ იმსჯელა სასწავლო პროგრამის
შინაარსზე და გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ
სახელმძღვანელოები ისლამის რწმენის სხვადასხვა პრაქტიკას მოიცავდა,
მათი ფოკუსი ისლამის იმ ფორმებზე იყო, რომლებსაც თურქეთის მოსახ-
ლეობის უმრავლესობა მისდევდა, რაც უტოლდებოდა ინდოქტრინაციის
პოლიტიკას. სასამართლოს მსჯელობის თანახმად, ალევნი შესახებ სასკო-
ლო მასალით ინფორმაციის მიწოდების ფორმა, მართლაც დააყენებდა მო-
სარჩელებს სკოლისა და საკუთარი ღირებულებების კონფლიქტის წინაშე.
სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქრისტიანი
და ებრაელი მოსწავლეებისათვის გათვალისწინებული იყო გაკვეთილებზე
დაუსწრებლობის უფლება, რაც თავის მხრივ, ადასტურებდა სწორედ ასე-
თი კონფლიქტის შესაძლო წარმოშობას. ევროსასამართლომ ისიც აღნიშნა,
რომ წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში რელიგიური შინაარსის გაკვეთი-
ლები იყო არჩევითი და არა სავალდებულო³⁶. ერთ-ერთ წინა საქმეში³⁷, სასა-
მართლოს უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება თურქეთის წინააღმდეგ
იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო განათლე-
ბის ისეთი სისტემის დანერგვა, სადაც მოსწავლეებს ექნებოდათ უფლება
გათავისუფლებულიყვნენ რელიგიისა და ეთიკის გაკვეთილებზე დასწრების
ვალდებულებისგან ისე, რომ მათი მშობლები იძულებული არ ყოფილიყვნენ
გამოეაშკარაებინათ თავიანთი რელიგიური შეხედულებები.

საქმეში *Folgero v. Norway* აპლიკანტები იყვნენ სკოლის მოსწავლეების
მშობლები, რომლებსაც ევალდებოდათ, რომ დასწრებოდნენ საგანს რელიგი-
ური და ფილოსოფიური განათლების შესახებ, მათ შორის, განსაკუთრებით
ლუთერანულ ქრისტიანობაზე. თვითონ აპლიკანტები იყვნენ ჰუმანისტები
და ნორვეგიის ჰუმანისტთა ასოციაციის წევრები. სასამართლომ აღნიშნა,
რომ სასწავლო გეგმის შემუშავება სახელმწიფოს უფლებამოსილებაა და
კონვენცია არ აბრკოლებს სახელმწიფოებს, რომ საჯარო განათლების უზ-
რუნველყოფისას გადაცემული ინფორმაცია მოიცავდეს რელიგიურ ან ფი-
ლოსოფიური ხასიათის ცნობებს. ამასთან, მშობლებსაც არ აქვთ უფლება
წინააღმდეგობა გაუწიონ ასეთი მასალის შეტანას სასწავლო გეგმაში. წინა-
აღმდეგ შემთხვევაში, ყველა ფორმის ინსტიტუციონალური სწავლება გამო-
რიცხული იქნებოდა. აპლიკანტები უსამართლოდ მიიჩნევდნენ ამ საგნიდან

³⁶ Press release issued by the Registrar of the court; „Turkey must reform religious education in schools to ensure respect for parents’ convictions“; ECHR 257(2014), 16.09.2014

³⁷ *Hasan and Eylem Zengin v. Turkey*, no. 1448/04, judgment of 9 October 2007.

მათი შვილების გათავისუფლებაზე უარს, რადგან შემოთავაზებული საგანი არ აკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს. კერძოდ, იგი არ იყო ობიექტური, კრიტიკული და პლურალიზმზე დაფუძნებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპეტენტურ ორგანოებს აქვთ ვალდებულება მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა მშობლების რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის იგნორირება არ მოხდეს.³⁸ სასამართლომ განმარტა, რომ საგნიდან ნაწილობრივი გათავისუფლების შესაძლებლობა თავის თავში პრობლემური იყო, რადგან მშობლებს სასწავლო მასალის მუდმივი მონიტორინგი უნდა ეწარმოებინათ და მხოლოდ იმ ნაწილებიდან მოეთხოვათ მათი შვილების გათავისუფლება, რომლებიც მათთვის მიუღებელ საკითხებს ეხებოდა, მშობლებს ასევე უნდა წარმოედგინათ დასაბუთება, რასაც რწმენის ძალზე პირადი დეტალების გამჟღავნება შეიძლება მოჰყოლოდა. სასამართლო დაეთანხმა აპლიკანტებს და განმარტა, რომ ხარისხობრივი და რაოდენობრივი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია ქრისტიანულ რწმენაზე საგნის მასალის 50%-ზე მეტს წარმოადგენდა და დაადგინა კონვენციის პირველი პროტოკოლის მეორე მუხლის დარღვევა. არერელიგიური რწმენის მქონე პირთა უფლებების კუთხით საინტერესოა საქმე **Bernard and others v. Luxemburg**, რომელშიც კომისიამ დაუშვებლად ცნო აპლიკანტის მოთხოვნა დისკრიმინაციის აღიარებასთან მიმართებით. აპლიკანტები უთითებდნენ დისკრიმინაციაზე, რადგან მორალური და სოციალური განათლების კურსებიდან გათავისუფლების უფლება ჰქონდათ ნებისმიერი რელიგიური რწმენის მიმდევრებს, თუმცა ასეთი უფლება არ გააჩნდათ არარელიგიური რწმენის მქონე პირებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში, არსებობდა ობიექტური და გონივრული გამართლება ასეთი განსხვავებული მოპყრობისათვის.³⁹

კიდევ ერთი საინტერესო საქმე, რომელიც ეხება რელიგიის სწავლებას საჯარო სკოლებში, არის **Lautsi and others v. Italy**.⁴⁰ ლაუცის შვილები სწავლობდნენ საჯარო სკოლაში, სადაც ყველა ოთახში ეკიდა ჯვარი და მისი აზრით, ეს ეწინააღმდეგებოდა სეკულარიზმის პრინციპს. მიუხედავად პროტესტისა, სკოლამ გადაწყვიტა ჯვრების დატოვება კლასებში, რაც ოჯახმა ეროვნულ სასამართლოებში გაასაჩივრა. ეროვნულმა სასამართლოებმა განაცხადეს, რომ ჯვარცმის საჯარო სკოლებში ჩამოკიდება არ ეწინააღმდეგებოდა სეკულარიზმის პრინციპს და აღნიშნეს, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ჯვარცმა უდავოდ რელიგიური ხასიათისაა, ის არა მხოლოდ კათოლიციზმის, არამედ, ზოგადად, ქრისტიანობის სიმბოლოა და მიემართება სხვა აღმსარებლობებსაც. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ ჯვარცმა არის

³⁸ Folgero and others v. Norway, para 84

³⁹ Carolyn Evans, Freedom of religion under the European Convention on Human Rights, (OUP), 2001, pg 84

⁴⁰ Lautsi and others v. Italy, App. No. 30814/06, referred to the Grand Chamber on Mar. 1, 2010.

ისტორიული და კულტურული სიმბოლო და მას იტალიელი ხალხისათვის იდენტობასთან დაკავშირებული ღირებულება აქვს, გამოსახავს იტალიისა და მთელი ევროპის ისტორიულ და კულტურულ განვითარებას და არის ამ განვითარების კარგი სინთეზი⁴¹. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯვარი, პირველ რიგში, სწორედ რელიგიური სიმბოლოა⁴². გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა წევრი სახელმწიფოების კულტურულ და ისტორიულ მრავალფეროვნებაზე და განაცხადა, რომ სახელმწიფოს არგუმენტი იმის შესახებ, რომ ჯვარი იტალიური და ევროპული ტრადიციების სიმბოლოცაა, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს კონვენციითა და მისი ოქმებით დადგენილი ვალდებულებებისაგან, პატივი სცენ ყველა რელიგიურ თემს. თუმცა, ჯვრის ხილვადობა სკოლებში არ გულისხმობდა ქრისტიანობის სავალდებულო შესწავლას. გარდა ამისა, საჯარო სკოლები რელიგიურ ნეიტრალიტეტს იცავდნენ იმ მხრივაც, რომ, მაგალითად, მუსლიმი მოსწავლეებისათვის არ იყო აკრძალული თავსაბურავების ტარება და მოსარჩელების მიერ არც სკოლის წარმომადგენლების მხრიდან ყოფილა დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები აღწერილი. შესაბამისად, სასამართლომ მხოლოდ ჯვარცმის - რელიგიური სიმბოლოს ნებადართულობა საჯარო სკოლებში არ მიიჩნია დარღვევად.

მეორე მხრივ, საქმე *Dahlab v. Switzerland*⁴³, რომელიც ეხებოდა საჯარო სკოლაში მასწავლებლის მიერ თავსაბურავის ტარებისათვის დათხოვნას, ევროპულმა სასამართლომ ცალსახა დაუსაბუთებლობის არგუმენტით დაუშვებლად ცნო. საჯარო სკოლის მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობის დანაშაულისას კათოლიკე ეკლესიის მრევლი იყო, მოგვიანებით მუსლიმი გახდა და დაიწყო თავსაბურავის ტარება სკოლაში, სკოლის დირექციის გადანაწილებებით, თავსაბურავის ტარება აეკრძალა. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აღნიშნული აკრძალვით ირღვეოდა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული რელიგიის თავისუფლება. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ზოგადად, მოსწავლეებზე რელიგიური სიმბოლოების გავლენის ხარისხის ზუსტი დადგენა რთულია, თუმცა უდავოა, რომ იმ ასაკობრივი ჯგუფისათვის, რომელსაც მოსარჩელე ასწავლიდა, რელიგიური თავსაბურავის ტარებას მართლაც შეიძლებოდა ჰქონოდა პროზელიტიზმის ეფექტი. ამასთან განმარტა, რომ თავსაბურავის ტარების ვალდებულება, რომელიც ყურანითაა დაწესებული, ეწინააღმდეგებოდა გენდერული თანასწორობის აღიარებულ პრინციპსაც⁴⁴.

⁴¹ *Lautsi and others v. Italy*, App. No. 30814/06, referred to the Grand Chamber on Mar. 1, 2010, §15

⁴² *Lautsi and others v. Italy*, App. No. 30814/06, referred to the Grand Chamber on Mar. 1, 2010, §66

⁴³ *Dahlab v. Switzerland* (dec.), no. 42393/98

⁴⁴ *Dahlab v. Switzerland* (dec.), no. 42393/98, English translation

საქმეზე *Kurtulmuş v. Turkey*⁴⁵ უნივერსიტეტის ლექტორმა დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით ჯერ გაფრთხილება მიიღო უნივერსიტეტში თავსაბურავის ტარების გამო, მოგვიანებით კი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. ევროპულმა სასამართლომ ჩაცმულობის ამგვარი სანქცირება მიიჩნია განათლების სფეროში საჯარო სამსახურის სეკულარულობისა და ნეიტრალურობის პრინციპის გამოვლინებად და, შესაბამისად, არ დაადგინა ევროკონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა.

ამერიკის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია

ამერიკის უზენაესმა სასამართლომ სკოლებს და სხვა სახელმწიფო უწყებებს განუსაზღვრა რელიგიური ნეიტრალიტეტის ვალდებულება. ჯერ კიდევ, 1962 წელს, საქმეში *Engel v. Vitale*, სასამართლომ დაადგინა, რომ ლოცვა არ უნდა აღევლინებოდეს საჯარო სკოლაში. თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიების ობიექტური სწავლება სკოლაში კანონიერი და მიზანშეწონილია, რადგან ასეთ სწავლებას აქვს ლეგიტიმური საგანმანათლებლო მიზანი და არ ემსახურება მხოლოდ კონკრეტული რელიგიის ქადაგებას თუ მხარდაჭერას. სკოლაში ლოცვის აღვლენას ეხებოდა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Wallace v. Jaffree*⁴⁶. ალბანელი მასწავლებელი ყოველი სასწავლო დღის დასაწყისში, ერთ წუთს უთმობდა „მედიტაციას ან ნებაყოფლობით ლოცვას“. მისტერ ჯეფრის სამი შვილი, დადიოდა ამ სკოლაში, ერთ-ერთი მათგანი კი, იმის გამო, რომ უარი თქვა ლოცვაზე, დაცინვის მსხვერპლიც გახდა კლასელებისგან. საქმის განხილვისას, სასამართლომ გამოიყენა სეკულარული მიზნის ტესტი, რომელიც ადგენს, ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს მიზნად გამოეხატა, რომელიმე რელიგიის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება და დაადგინა, რომ საჯარო სკოლებში ლოცვა არღვევდა რელიგიურ ნეიტრალიტეტს.

სხვა საერთაშორისო მექანიზმების მიერ განხილული საქმეების მიმოხილვა

ასევე, საინტერესოა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ერთ-ერთი საქმე - *Arieh Hollis Waldman (Initially represented by Mr. Raj Anand from Scott & Ayles, a law firm in Toronto, Ontario) v. Canada*, სადაც კომიტეტმა დისკრიმინაციისაგან ეფექტური და თანასწორი დაცვის შესახებ პაქტის 26-

⁴⁵ *Kurtulmuş v. Turkey* (dec.) - 65500/01, ხელმისაწვდომია: [http://hudoc.echr.coe.int/eng?i=002-3518#{"itemid":\["002-3518"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng?i=002-3518#{)

⁴⁶ *Wallace v. Jaffree*, 472 U.S. 38 (1985)

მუხლის დარღვევა დაადგინა რელიგიური სკოლების სახელმწიფო ბიუჯეტი-ით დაფინანსებასთან დაკავშირებით. კანადის 1867 წლის კონსტიტუციის მიღებისას, ონტარიოს მოსახლეობის 17% კათოლიკე, 82% - პროტესტანტი, 2% კი სხვა რელიგიების წარმომადგენელი იყო და არსებობდა საფრთხე, რომ ონტარიოში პროტესტანტთა უმრავლესობა კათოლიკე უმცირესობის განათლებასთან დაკავშირებული უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას ეცდებოდა. შესაბამისად, კონსტიტუცია შეიცავს ცალსახა ნორმას დენომინაციური სკოლების უფლებებთან დაკავშირებით და კანადის პროვინციებს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად დაარეგულირონ რელიგიასთან დაკავშირებული საკითხები. ონტარიოს პროვინციაში, კონსტიტუციის აღნიშნულ ნორმას ეფუძნებოდა განათლების აქტი, რომლის მიხედვითაც, ყველა განცალკევებული სკოლა ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტით, ხოლო განცალკევებული სკოლის განმარტების ქვეშ ხვდებოდნენ კათოლიკური სკოლები. განცალკევებული სკოლის სტატუსი გულისხმობდა არა კერძო სკოლის სტატუსს, არამედ მსგავსი იყო საჯარო სკოლის სტატუსისა, კერძოდ, კათოლიკური სკოლები ფინანსდებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და იმართებოდნენ საჯაროდ ანგარიშვალდებული, დემოკრატიული წესით არჩეული გამგეობის მიერ. შესაბამისად, ასეთი სტატუსის მქონე კათოლიკური სკოლები წარმოადგენდნენ რელიგიური სკოლების ერთადერთ კატეგორიას, რომელიც საჯარო სკოლების იდენტურ სახელმწიფო დაფინანსებას იღებდა. ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის მიმართვისას მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კონსტიტუციისა და განათლების აქტის აღნიშნული ნორმები აწესებდა დისკრიმინაციულ მოპყრობას რელიგიური ნიშნით. მოსარჩელე ასევე უთითებდა, რომ ის ისტორიული კონტექსტი, რომელიც კონსტიტუციის აღნიშნული დისკრიმინაციული ნორმის მიღებისას არსებობდა და მიზნად ისახავდა კათოლიკე უმცირესობის დაცვას პროტესტანტული უმრავლესობისაგან, ამჟამად არარელევანტურია, რადგან ონტარიოს მოსახლეობაში კათოლიკეები თითქმის გაუთანაბრდნენ პროტესტანტი მოსახლეობის რაოდენობას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება და დაამატა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ კათოლიკური სკოლების საჯარო დაფინანსებასთან დაკავშირებით ნორმა კონსტიტუციაშია გამყარებული, არაა საკმარისი იმისათვის, რომ დაფინანსების სისტემის ასეთი დიფერენცირება ჩაითვალოს ობიექტური და გონივრული კრიტერიუმებით გამართლებულად. განსაკუთრებით იმის გათვლისწინებით, რომ კათოლიკეების წინააღმდეგ აღარ იკვეთებოდა ჩაგვრისა თუ დისკრიმინაციის ისეთი მწვავე პრაქტიკა, როგორსაც კონსტიტუციის მიღების პერიოდში ჰქონდა ადგილი.

5. სახელმწიფოს რეგულაციები რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით

5.1. რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაცია და ფინანსური სარგებელი

ევროპული სახელმწიფოების ნაწილს არ აქვს მკაცრი ზღვარი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, რაც ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ ოფიციალური რელიგიის აღიარებაში გამოიხატება. თუმცა, აღნიშნული არ გულისხმობს იმთავითვე რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევას ან ოფიციალური რელიგიის პრეფერენცირებას. ამის კარგი მაგალითებია ინგლისის, შვედეთის და ნორვეგიის შემთხვევები. შვედეთში ოფიციალური რელიგიის დაშლას (disestablishment) თვით შვედეთის სახელმწიფო რელიგია უჭერდა მხარს. მსგავსი პროცესი განვითარდა ნორვეგიაშიც.⁴⁷

ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Keresztény Mennonita Egyház and Others v Hungary*⁴⁸ დაადგინა, რომ უნგრეთის სამართლებრივი აქტი ეკლესიების შესახებ ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლს მე-9 მუხლთან ერთობლიობაში. უნგრეთმა მიიღო საეკლესიო აქტი, რომლის მიხედვითაც, რელიგიური ორგანიზაციების დიდი ნაწილი სტატუსს კარგავდა და მხოლოდ ასოციაციების სტატუსით შეეძლოთ ფუნქციონირების გაგრძელება. ძველი კანონით რეგისტრაცია მარტივი პროცედურა იყო, თუმცა ახალი აქტის მიღების შემდეგ რეგისტრირებულ ეკლესიათა სიიდან ამოღებული იქნა უმეტესობა მათგანი. იმ ეკლესიებს, რომლებსაც მოეხსნათ რეგისტრაცია, განცხადება უნდა წარედგინათ პარლამენტში. აღნიშნული პროცედურის გავლისას, აპლიკანტ გაერთიანებებს უარი ეთქვათ რელიგიური ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებაზე. საქმეზე მსჯელობისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიური გაერთიანებების ფორმალური რეგისტრაციის სავალდებულოობის დადგენა, ზოგადად, არ წარმოადგენს რელიგიის თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. თუმცა, სახელმწიფოს ეკისრება ყველა რწმენისა და აღმსარებლობის თემის მიმართ ნეიტრალურობის პრინციპის დაცვის ვალდებულება. სასამართლომ რაიმე სახის რეგისტრაციის სისტემის შემუშავება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებად შეაფასა, რადგან ეს რელიგიურ ორგანიზაციებს იურიდიული პირის სტატუსისათვის დამახასიათებელი შესაძლებლობებით სარგებლობის უფლებას აძლევდა. ამასთან, სახელმწიფომ აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ, პოლიტიკური ორგანოს, პარლამენტის შერჩევა თავიდანვე შეიცავდა თვითნებობის საფრთხეებს და ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფოს ნეიტრალურობის გარანტიებს. სასამართლოს განმარტებით,

⁴⁷ W. Cole Durham and Brett G. Scharffs, *Law and Religion: National, International, and Comparative Perspectives*, Elective Series (New York: Aspen Publishers, 2010), Chapter 4.

⁴⁸ *Magyar KeresztényMennonitaEgyház and Others v. Hungary* (application nos. 70945/11, 23611/12, 26998/12, 41150/12, 41155/12, 41463/12, 41553/12, 54977/12 and 56581/12)

სიტუაცია, როდესაც რელიგიური ორგანიზაციები იძულებული არიან ხმების მოპოვების მიზნით პოლიტიკურ პარტიებთან „პირფერულ“ დამოკიდებულებაში იყვნენ, შეუსაბამო სახელმწიფოს ნეიტრალურობის მოთხოვნასთან. ლეგიტიმურ მიზნად სახელმწიფომ საჯარო წესრიგის დაცვა დაასახელა და მიუთითა, რომ საჭირო იყო გაერთიანებებისათვის რეგისტრაციაზე გარკვეული შეზღუდვების დანერგვა იმ მიზნით, რომ მათი რაოდენობა არ ყოფილიყო პრობლემურად დიდი და ამ გაერთიანებებს ბოროტად არ ესარგებლათ რელიგიური ორგანიზაციების სტატუსით ფინანსური სარგებლის მიღების პროცესში. ამის მიუხედავად, აღნიშნული კანონმდებლობის მიღება ევროპულმა სასამართლომ არ მიიჩნია ერთადერთ აუცილებელ ზომად დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და, შესაბამისად, დაადგინა სახელმწიფოს მიერ მე-11 მუხლის დარღვევა მე-9 მუხლთან ერთობლიობაში.

მოსარჩელე, საქმეში *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*⁴⁹, ამტკიცებდა, რომ, მოლდავეთის ხელისუფლებამ დაარღვია მე-9 მუხლი, ვინაიდან ბესარაბიის მეტროპოლიტანურ ეკლესიას უარი ეთქვა აღიარებაზე რელიგიური გაერთიანებების აქტის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებდა რელიგიური გაერთიანებების მთავრობის გადაწყვეტილებით აღიარებას. მოსარჩელების მტკიცებით, მრევლს აღარ შეეძლო ჩაეტარებინა რელიგიური რიტუალები, შეკრებილიყო რელიგიური მიზნებით და ჰქონოდა ეკლესიის აქტივებზე სახელმწიფოს მხრიდან დაცვის გარანტია. გარდა ამისა, ბესარაბიის მეტროპოლიტანური ეკლესია წააწყდა წინააღმდეგობებს სხვადასხვა რაიონში, მაგალითად, ბესარაბიის მეტროპოლიტანური ეკლესიის ფანჯრები ჩაამტვრიეს კიშინოვში, მღვდლებს და მრევლს კი რამდენჯერმე დაემუქრნენ. ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებისას მოსარჩელებმა თავიანთი სარჩელი დააფუძნეს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო სამართლებრივ აღიარებაზე უარის თქმით არღვევდა კონვენციით გათვალისწინებულ რელიგიურ თავისუფლებას. სახელმწიფოს საპასუხო არგუმენტაციით, იურიდიული აღიარება არ იყო რელიგიური თავისუფლების ერთადერთი გარანტია და მოცემულ თემს თავისი რელიგიის გამოხატვა სხვა მხრივ არ ეზღუდებოდა. გარდა ამისა, რეგისტრაციაზე უარს ჰქონდა საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების ლეგიტიმური მიზანი - მოლდავეთი ისტორიულად რუმინეთისა და რუსეთის კოლონია იყო და 1991 წელს, დამოუკიდებლობის საბოლოოდ მოპოვების შემდეგ, სწორედ მართლმადიდებელი ეკლესია იყო ის ინსტიტუტი, რომელმაც ერი გააერთიანა, რელიგიური უმცირესობის იურიდიული აღიარება კი ჩრდილს მიაყენებდა მართლმადიდებელ ეკლესიას. გარდა ამისა, ბესარაბიის ეკლესია, მოპასუხე სახელმწი-

⁴⁹ *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova* (2002) 35 ECHR 306

ფოს განმარტებით, წარმოადგენდა ბუქარესტის საპატრიარქოზე დაქვემდებარებულ ორგანიზაციას და ჰქონდა პოლიტიკური მიზანი გაერთიანებინა ბესარაბია და რუმინეთი და, შესაბამისად, დაერღვია მოლდავეთის ტერიტორიული მთლიანობა. ევროპული სასამართლო საქმეზე მსჯელობისას არ დაეთანხმა სახელმწიფოს და სამართლებრივი აღიარების უფლება განიხილა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვად. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა ეკლესიის წესდებით გათვალისწინებულ სტატუსსა და აქტივობებზე და დაადგინა, რომ ეკლესიას ჰქონდა დამოუკიდებელი სტატუსი და არ გააჩნდა პოლიტიკური ზრახვები. უფრო მეტიც, ის აპირებდა სახელმწიფოსთან თანამშრომლობას, შესაბამისად, იყო სრულიად ლეგიტიმური. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოლდავეთის სახელმწიფოს უარი იურიდიულად ეცნო მოსარჩელე ეკლესია, იყო როგორც რელიგიური ორგანიზაციის, ასევე სხვა მოსარჩელების რელიგიის თავისუფლების დარღვევა კონვენციის მე-9 მუხლის საფუძველზე.

საქმეში *Savez Crkara „Rijec Zivota“ and Others v. Croatia*, ერთ–ერთ რელიგიურ ორგანიზაციას არ გაუფორმდა ხელშეკრულება, რომელიც მას მიანიჭებდა სხვა რელიგიების მსგავსად, პრივილეგიებულ სტატუსს და მისცემდა შესაძლებლობას მიენოდებინათ რელიგიური განათლება საჯარო სკოლებსა და ბაღებში. ასევე, მათ მიერ აღსრულებული რელიგიური ქორწინება ეცნო სახელმწიფოს. მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ მოსარჩელე ეკლესია არ წარმოადგენდა ევროპული კულტურული წრის შემადგენელ ისტორიულ-რელიგიურ ორგანიზაციას, რის დასასაბუთებლადაც სასამართლოს მსჯელობის თანახმად, სახელმწიფომ საკმარისი არგუმენტები ვერ წარმოადგინა.⁵⁰ სასამართლომ საკითხი განიხილა ერთობლივად, კონვენციის მე-14 და მე-9 მუხლებთან მიმართებით, დაადგინა დარღვევა და მსჯელობისას განმარტა, რომ კონვენცია არ გამორიცხავს გარკვეულ რელიგიურ ორგანიზაციებთან სპეციალური რეჟიმის დამყარების შესაძლებლობას, შეთანხმებების გაფორმების სახით. თუმცა, განსხვავებისათვის აუცილებელია ობიექტური და გონივრული გამართლების არსებობა და მსგავსი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობა რელიგიური ორგანიზაციების სურვილის შემთხვევაში.⁵¹

საქმეში *Darby v. Sweden* ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად შეაფასა პირის დავალდებულება იმ რელიგიური გაერთიანების პირდაპირ დაფინანსებაში წილის შეტანასთან დაკავშირებით, რომელსაც თვითონ არ განეკუთვნებოდა. იმ დროს მოქმედი სასამართლოს ინსტიტუციური მოწყობის შესაბამისად, კომისიის შეფასე-

⁵⁰ *Savez Crkara „Rijec Zivota“ and Others v. Croatia* para 91

⁵¹ *Savez Crkara „Rijec Zivota“ and Others v. Croatia* para 85

ბა რეკომენდაციის სახით წარედგინებოდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს საქმის განხილვამდე. ამ საქმეში, უკვე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, დაადგინა საკუთრების უფლების დარღვევა, რის გამოც, საკითხის დამატებით მე-9 მუხლთან განხილვა საჭიროდ აღარ ჩათვალა.

5.2. საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული რეგულაციები

საქმეში *Manoussakis and Others v Greece*⁵², შიდა კანონმდებლობა მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა, ყველა რელიგიური ორგანიზაციისგან ლოცვისათვის ფორმალური ნებართვის მიღებას მოითხოვდა. იეჰოვას მოწმეების ჯგუფმა არაერთხელ სცადა ნებართვის მიღება, თუმცა უშედეგოდ. შესაბამისად, აღნიშნული რელიგიური ჯგუფის წევრები დაუშვებელი მსახურებისათვის სამართალდამრღვევებად იქნენ მიჩნეული. სასამართლოს განმარტებით, რელიგიის თავისუფლება როგორც კონვენციით გარანტირებული უფლება, გამორიცხავს სახელმწიფოს უფლებამოსილებას თვითონ განსაზღვროს რამდენად ლეგიტიმურია რწმენა ან მისი გამოხატვის ფორმები. მტკიცებულებებისა და მოსარჩელის მიერ მოყვანილი არგუმენტებით, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ცდილობდა ბოროტად გემოყენებინა შიდა კანონმდებლობა, რათა დაენესებინა ამკრძალავი ნორმები არამართლმადიდებელი რელიგიური გაერთიანებებისათვის, განსაკუთრებით, იეჰოვას მოწმეთათვის. ამას ადასტურებდა ქვეყნის პრეცედენტული სამართალიც. საინტერესოა, რომ მოცემულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ კონვენციასთან შეუსაბამოდ ცნო დისკრიმინაციული ნორმა და სახელმწიფოს არგუმენტს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ნორმა ემსახურებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, უპასუხა, რომ იეჰოვას მოწმეების მრწამსი ჯდება „ცნობადი რელიგიის“, ცნებაში და მისი საქმიანობა არ საჭიროებს განსაკუთრებულ შესწავლას საზოგადოებისათვის საფრთხის მოტანის კუთხით. ამასთან, აღიარების პროცესში, გარკვეული როლი ჰქონდა სხვა რელიგიურ ორგანიზაციას, კერძოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, რაც სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული რეგულირება არ მიიჩნია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ ნორმად და, შესაბამისად, დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის დადგენასთან დაკავშირებით.

⁵² *Manoussakis and Others v Greece* (Application no. 18748/91)

5.3. რელიგიური ორგანიზაციების ავტონომიასთან დაკავშირებული საკითხები

საქმე „Păstorulcel Bun“ v Romania⁵³ პროფესიულ კავშირში გაერთიანების უფლებასთან მიმართებით რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიის პრინციპს უკავშირდებოდა. მოსარჩელებმა - მართლმადიდებელმა მღვდლებმა და რუმინეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ დასაქმებულმა პირებმა ჩამოაყალიბეს პროფკავშირი იმისათვის, რომ დაეცვათ საკუთარი პროფესიული ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კავშირის სადამფუძნებლო დოკუმენტი არ ეწინააღმდეგებოდა პროფესიული კავშირების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობას, სახელმწიფომ უარი უთხრა მათ რეგისტრაციაზე, იმ საფუძველით, რომ ეს აკრძალული იყო რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წესდებით - კერძოდ, მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებს ეკრძალებოდათ, ეპისკოპოსის თანხმობის გარეშე, როგორც პროფესიული კავშირების დაფუძნება, ისე პირად, სამოქალაქო დავებზე სასამართლოსათვის მიმართვა. ეროვნულ დონეზე დავის წარმოებისას, მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი არგუმენტი იყო, რომ რელიგიური ორგანიზაციები სარგებლობდნენ ორგანიზაციული ავტონომიით და მათი სადამფუძნებლო დოკუმენტების შინაარსზე კონსტიტუციით განსაზღვრული გაერთიანების თავისუფლებას შემზღვეველი ეფექტი საერთოდ არ უნდა ჰქონოდა. გარდა ამისა, ეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ მართლმადიდებელი პროფესიული კავშირის დამფუძნებელი მღვდლები ასეთი კავშირის შექმნით მართლმადიდებელი ეკლესიის განევრიანებისას დადებულ ფიცსა და წინასწარ შეთანხმებული საქმიანობის აღწერას ეწინააღმდეგებოდნენ. ევროპულ სასამართლოში სამართალწარმოებისას, მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ რეგისტრაციაზე უარი წარმოადგენდა კონვენციის მე-11 მუხლით გათვალისწინებული გაერთიანების თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. საინტერესოა, რომ ევროპულმა სასამართლომ მღვდლებსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა შეადარა შრომით ხელშეკრულებას⁵⁴ - მღვდლების დანიშვნაზე ანუ „დასაქმებაზე“ უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა ეპისკოპოსი, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულება წარმოეშობოდათ მღვდლებს შესაბამისი შეთანხმებით. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, პროფესიული კავშირის წესდების შინაარსის გათვალისწინებით, დაადგინა, რომ ასეთი პროფესიული კავშირის დაფუძნებას მართლაც შეიძლებოდა შეექმნა საფრთხე მართლმადიდებელი ეკლესიის ავტონომიისათვის და, შესაბამისად, სახელმწიფომ რეგისტრაციაზე უარით, იმოქმედა კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლების დაცვით და მართებულად შეიკავა თავი ჩარეულიყო რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შიდა ფუნქციებში.

⁵³ Sindicatul „Păstorulcel Bun“ v Romania (App. No. 2330/09).

⁵⁴ Sindicatul „Păstorulcel Bun“ v Romania (App. No. 2330/09), §143

საქმეში **Fernandez Martinez v. Spain** ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ეკლესიის ავტონომიის ფარგლებში, დაცულად მიიჩნია რელიგიური ორგანიზაციის უფლება შეუზღუდოს მის წევრებს პირადი და ოჯახური ცხოვრების გარკვეული წესით წარმართვისას, განსხვავებული პოზიციის ადვოკატირება. სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიურ ორგანიზაციასა და მის ერთ-ერთ წევრს შორის დოქტრინალური ან ორგანიზაციული უთანხმოების შემთხვევაში, პირის რელიგიის თავისუფლება რეალიზდება მის უფლებაში დატოვოს რელიგიური ორგანიზაცია. სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, არბიტრის როლი სახელმწიფოს ფუნქცია არ არის. ამის მიუხედავად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ შემთხვევაში, რელიგიურმა ორგანიზაციამ უნდა აჩვენოს, რომ სავარაუდო საფრთხე რელიგიური ავტონომიის ხელშეუხებლობასთან მიმართებით არის მოსალოდნელი და მნიშვნელოვანი და პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევა არ ხდება იმაზე მეტად, ვიდრე ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ეს საფრთხე იყოს აცილებული. ამასთან, ასეთი ჩარევა არ უნდა ემსახუროდეს რაიმე სხვა მიზანს, რომელიც არ არის რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიის დაცვასთან დაკავშირებული. ამავდროს, არ უნდა მოხდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების ძირითადი „ბირთვის„ იგნორირება.

საქმეში **Knudsen v. Norway** ღვთისმსახურის პროტესტის ფორმა არ შეესრულებინა სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებები აბორტის დაშვების თაობაზე მიღებულ ახალ კანონთან დაკავშირებით, სასამართლომ არ განიხილა რელიგიის თავისუფლებით დაცულ რელიგიის მანიფესტაციად. სახელმწიფოს არ შეეძლო ეიძულებინა პირი დარჩენილიყო ეკლესიის წევრი, მაგრამ სახელმწიფოს შეეძლო დაერეგულირებინა მისი ქცევა, იმ მომენტიდან, როდესაც ის იყო სახელმწიფოს ოფიციალური ეკლესიის ღვთისმსახური, რომელსაც რელიგიური ვალდებულებების გარდა, ასევე აღიარებული ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე.

საქმე **Izzettin Dogan and Others v. Turkey** ეხებოდა ალევის რწმენის რელიგიური ხასიათის და მათი რელიგიური რიტუალების არაღიარებას, რაც გამოიხატებოდა შემდგომში ალევის საკულტო ნაგებობებისთვის და რელიგიური ლიდერებისათვის კანონით გათვალისწინებულ დაცვის მექანიზმებზე ხელმეორედ მომლობაში. ასევე, სხვა უარყოფით შედეგებში, მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსების კუთხით.

სასამართლომ განმარტა, რომ რელიგიური თემების ავტონომიის გათვალისწინებით, მხოლოდ უმაღლეს რელიგიურ ლიდერებს, და არა სახელმწიფოს ან სასამართლოებს, შეეძლოთ განესაზღვრათ, რომელ რწმენას მიეკუთვნე-

ბოდა ესა თუ ის თემი და ამ დროს, არარელევანტური იყო თავად თემის შიგნით გარკვეულ ძირითად პრინციპებზე კონსენსუსის არარსებობა და დებატები. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ჩარევის პოლიტიკა, ალევის რწმენისთვის მიენიჭებინა კლასიფიკაციით რელიგიაზე დაბალი სტატუსი, რომელიც არ ითვალისწინებდა ამ მიმდინარეობის განმასხვავებელ ნიშანებს და მას რეალურად არატრადიციულობისა და მცირე მასშტაბის გამო ართმევდა იურიდიული პირის სტატუსს, არღვევდა ალევის თემის უფლებას ავტონომიურ არსებობაზე. მათი რწმენის განმარტება, მხოლოდ ამ რწმენის მიმდევრების საქმე იყო. ასეთი მიდგომა რელიგიური ორგანიზაციის ავტონომიასთან ერთად არღვევდა სახელმწიფოს ნეიტრალიტეტის და მიუკერძოებლობის ვალდებულებასაც.

სახელმწიფოს პოლიტიკა კონვენციასთან შეუსაბამო იყო იმის მიუხედავად, რომ კანონდებლობით დანესებული შეზღუდვების და მათი დარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციების გამოყენება, ძირითადად, არ ხდებოდა პრაქტიკაში. ამის გარდა, ალევის რწმენისთვის მინიჭებული კლასიფიკაციისათვის განსაზღვრული რეგულაციებით საკულტო ნაგებობის აშენებაზე ნებართვის მიღების საკითხიც ეჭვქვეშ დგებოდა და დამოკიდებული იყო სახელმწიფოს კეთილ ნებაზე. ამასთან, მათ ეზღუდებოდათ სუბსიდიების ოფიციალურად მიღების შესაძლებლობაც და იურიდიული პირის სტატუსის არარსებობის გამო, სასამართლოში წარმომადგენლობა მხოლოდ ფონდების, ასოციაციების და მიმდევრების ჯგუფების საშუალებით ჰქონდათ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შეზღუდული იყო რელიგიური თემისთვის კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული უფლებით სრულად სარგებლობის თავისუფლება.

ამასთან, სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაც დაადგინა და აღნიშნა, რომ ალევის მიმდევრები დადგენილი რეგულაციებით და მინიჭებული კლასიფიკაციით არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მუსლიმურ რელიგიასთან. მუსლიმური რელიგია არ ექვემდებარებოდა შეზღუდვებს და სხვა პრივილეგიებთან ერთად, სახელმწიფოსგან იღებდა დაფინანსებას, რაც მათ რელიგიური მუშაკების ანაზღაურების და კონფესიური საქმიანობის განხორციელების საშუალებას აძლევდა.

5.4. კეთილსინდისიერი უარი სამხედრო სამსახურზე

სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამო, ეფუძნება აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას. ამ

უფლებას აქვს ნაწარმოები ხასიათი, რადგან ის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების ინტერპრეტაციის შედეგია. ამასთანავე, ასეთი უფლება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, აღიარებული უნდა იყოს როგორც მშვიდობის, ასევე ომის დროს⁵⁵. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი აღიარებს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან ალტერნატიული სამხედრო სამსახური იმ პირთათვის, ვინც რელიგიური შეხედულების გამო, უარს ამბობს ჯარში წასვლაზე, თუმცა ეს სახელმწიფოთა დისკრეციული უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება. შესაბამისად, ამ საკითხზე სხვადასხვა მიდგომა ჩამოყალიბდა. მაგალითად, გერმანიაში კონსტიტუციური ნორმაც კი არსებობს სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლებასთან დაკავშირებით. მუხლი 4(3)-ის მიხედვით: „არცერთი ადამიანი არ უნდა იქნას განვეული სამხედრო სამსახურში მისი რწმენის სანინააღმდეგოდ; დაუშვებელია იარაღის გამოყენების იძულებაც„. პაქტის მე-18 მუხლის ზოგადი კომენტარი აკონკრეტებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო აღიარებს სამხედრო სამსახურთან მიმართებით კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლებას, დაუშვებელია რაიმე ფორმის დიფერენციაცია კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს შორის მათი რწმენის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საქმეში *Bayatyan v. Armenia*⁵⁶, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი, იყო თუ არა რელიგიური მოტივით სამხედრო ვალდებულებაზე უარის თქმა გარანტირებული უფლება კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით. საქმე ეხებოდა, 2003 წელს, იეჰოვას მოწმისათვის მსჯავრის დადებას სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის გამო. პირი დააპატიმრეს, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს უკვე აღებული ჰქონდა ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრული ვალდებულება - საყოველთაო სამხედრო სამსახურის ნაცვლად, იმ პირებისთვის, რომლებიც რწმენის გამო უარს ამბობდნენ მასზე, შეეთავაზებინა ალტერნატიული საზოგადოებრივი სამსახური სამი წლის ვადით. თავდაპირველად, სასამართლომ დაადგინა, რომ თითოეული სახელმწიფო, რომელსაც რატიფიცირებული აქვს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია, თვითონაა უფლებამოსილი განწყვიტოს სამხედრო სამსახურის სავალდებულოობა და მასზე კეთილსინ-

⁵⁵ CCPR/CO/82/FIN, §14

⁵⁶ *Bayatyan v. Armenia*, Application no. 23459/03, Council of Europe: European Court of Human Rights, 7 July 2011, available at: <http://www.refworld.org/docid/4e254eff2.html> [accessed 3 April 2015]

დისიერი უარის კანონიერება. თუმცა, მოგვიანებით, დიდმა პალატამ შეცვალა გადაწყვეტილება და მე-9 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ განმარტა, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც უნდა განიმარტოს დღევანდელი მდგომარეობისა და იმ იდეების გათვალისწინებით, რომელიც გამოხატულია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში და დაადგინა, რომ სავალდებულო სამსახურზე უარი, რომელიც მოტივირებულია შეიარაღებულ ძალებში სამსახურსა და პირად სინდისს შორის, ან რელიგიურ ან სხვა მრწამსს შორის მწვავე და გადაულახავი კონფლიქტით, წარმოადგენს მე-9 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით დაცულ სფეროს.

ამერიკის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია

უზენაესმა სასამართლომ საქმეებში *United States v. Seeger*⁵⁷ და *Welsh v. United States*⁵⁸ დაადგინა, რომ მრწამსი, რომლის გამოც პირი უარს ამბობს სამხედრო სამსახურზე, შეიძლება იყოს როგორც რელიგიური, ასევე არარელიგიური. სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება თანაბრად ეკუთვნოდათ მათ, ვისი წინააღმდეგობაც გამომდინარეობდა არა რელიგიიდან, არამედ იმ შეხედულებებიდან ომის შესახებ, რომლებსაც ადამიანის ცხოვრებაში რელიგიის მსგავსი ადგილი ეჭირა.

5.5. საკუთრების რესტიტუცია რელიგიური ორგანიზაციებისთვის

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე განიხილა საკითხი, რომელიც ავტორიტარული მმართველობის პერიოდში უკანონოდ და უსამართლოდ ჩამორთმეული საკუთრების რესტიტუციას შეეხებოდა. საკითხმა რესტიტუციის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საბჭოთა სოციალისტური კავშირის დაშლის შემდგომ. რესტიტუციის საკითხებზე ერთგვაროვანი მიდგომა ეროვნული კანონმდებლობის დონეზე ჯერ არ არის ჩამოყალიბებული. საქმეში *BogdanVodă Greek-Catholic Parish v Romania*⁵⁹ წარმოიშვა დავა ორ ქრისტიანულ რელიგიურ ჯგუფს - ბერძნულ-კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის. 1948 წლამდე, ამ რელიგიურ ორგანიზაციებს საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ, თუმცა, მოგვიანებით, კათოლიკური ეკლესია გაუქმდა და მისი საკუთრება გადაეცა მართლმადიდებელ ეკლესიას. კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, 1989 წელს, კა-

⁵⁷ *United States v. Seeger*, 380 U.S. 163 (1965)

⁵⁸ *Welsh v. United States*, 398 U.S. 333 (1970)

⁵⁹ *BogdanVodă Greek-Catholic Parish v Romania*, Application no. 26270/04

თოლიკურმა ეკლესიამ დაიბრუნა სამართლებრივი სტატუსი და, შესაბამისად, საჭირო გახდა მისთვის იმ ქონების გადაცემა, რომელიც 1948 წელს ჩამოართვეს. აღნიშნული ქონებრივი საკითხების გადასაწყვეტად, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები შედიოდნენ, თუმცა მათ არსებითი გადაწყვეტილების მიღება ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით ვერ შეძლეს. კათოლიკე მრევლის მრავალჯერადი მოთხოვნა, დაებრუნებინათ მათთვის 1948 წლამდე მათ ქონებაში არსებული ძველი ეკლესიის შენობა უშედეგო აღმოჩნდა. ამის შემდეგ, მრევლმა ეროვნულ სასამართლოს მიმართა, რომელმაც დაადგინა, რომ კათოლიკურ ეკლესიას უნდა გადასცემოდა აღნიშნული შენობა, თუმცა გადაწყვეტილება სახელმწიფოს არ აღუსრულებია, რის მიზეზადაც სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, მართლმადიდებელი მრევლის პროტესტი სახელდებოდა. მოსარჩელემ მიმართა ევროპულ სასამართლოს. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელ ნაწილს და რუმინეთის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობა წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას. სასამართლომ დასაშვებად ცნო, თუმცა, საჭიროდ აღარ ჩათვალა კონვენციის მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) მიმართებით დაყენებული მოთხოვნის განხილვა.

6. სიძულვილის ენასთან დაკავშირებული სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

საქმეზე *Norwood v. the United Kingdom*, განმცხადებელი იყო მსჯავრდებული პოსტერის გავრცელებისთვის. პოსტერი შეიცავდა ფორმულირებას „ბრიტანეთი ისლამის გარეშე“ და „დაიცავით ბრიტანელი ხალხი“, ასევე, მთვარისა და ვარსკვლავის გადახაზულ სიმბოლოს, ფონად კი ნიუ-იორკში, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის დანგრევის ფოტოს. სასამართლომ საქმე კონვენციის მე-17 მუხლის ქვეშ განიხილა, რომელიც ადამიანის უფლებათა ბოროტად გამოყენებას კრძალავს.¹ ევროპულმა სასამართლომ განაცხადი დაუშვებლად ცნო და ამ ფორმით უარყო ‘ისლამოფობია’.² მსჯელობისას სასამართლომ მსგავსი ზოგადი და აგრესიული ფორმით ვერბალური დარღვევა

¹ Ian Leigh, „Damned If They Do, Damned If They Don’t: The European Court of Human Rights and the Protection of Religion from Attack,“ *Res Publica* 17, no. 1 (2011): 63.

² Ian Leigh, „Damned If They Do, Damned If They Don’t: The European Court of Human Rights and the Protection of Religion from Attack,“ *Res Publica* 17, no. 1 (2011): 63.

რელიგიურ ჯგუფზე ქმედებას (act) გაუთანაბრა და კონვენციით გამყარებული ღირებულებებთან, შემწყნარებლობასთან, სოციალური მშვიდობისა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან შეუსაბამოდ ცნო.³

საქმე *Gunduz v. Turkey* შეეხებოდა რელიგიურად მოტივირებულ შეურაცხმყოფელ გამოხატვას. საქმეში, განმცხადებელი იყო მსჯავრდებული პირდაპირ ეთერში შუღლის გაღვივებისთვის, რელიგიური განსხვავებულობის საფუძველზე. სატელევიზიო გამოსვლაში, იგი საუბრობდა სეკულარულ ინსტიტუტებზე, როგორც ცოდვის სანყისზე თურქეთში, აკრიტიკებდა დემოკრატიას და შარიათის კანონების შემოღებაზე საუბრობდა.⁴ ევროპულმა სასამართლომ ცნო სიძულვილის ენის სისხლის სამართლით დასჯად ქმედებად გამოცხადების აუცილებლობა, მაგრამ განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლების გარანტიებთან ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა თავსებადი, როდესაც დაცული იქნება თანაზომიერების პრინციპი. მსჯელობისას, ევროპულმა სასამართლომ სიძულვილის ენა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მსგავსად განმარტა და აღნიშნა, რომ ის წარმოადგენს 'ნებისმიერი ფორმის გამოხატვას, რომელიც ავრცელებს, აღვივებს, მხარს უჭერს ან ამართლებს შეუწყნარებლობაზე (მათ შორის, რელიგიურ შეუწყნარებლობაზე) დაფუძნებულ' სიძულვილს'.⁵ თუმცა, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მხოლოდ შარიათის კანონების დაცვა და მოქმედი ინსტიტუციების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა, ძალადობისკენ მოწოდების გარეშე, არ ჩაითვლებოდა „სიძულვილის ენად“.⁶ სასამართლომ იმ არგუმენტით, რომ ეს არ წარმოადგენდა, ეროვნული სამართალწარმოების პროცესში პირის მსჯავრდების ძირითად არგუმენტს, შინაარსობრივი შეფასება არ მისცა მსჯავრდებულის მიერ გამოყენებულ სიტყვას „ნაბიჭვარი“, რომელიც რელიგიური ქორწინების გარეთ დაბადებულ ბავშვებს მიემართებოდათ და შესაძლო შეურაცხყოფას წარმოადგენდა იმ პირებისათვის, რომლებიც რელიგიური ქორწინების ნაცვლად, სამოქალაქო ქორწინებას ან პარტნიორობას ანიჭებდნენ უპირატესობას. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოების ძირითადი მსჯელობის შეფასების საფუძველზე, ძალადობისკენ მოწოდების არარსებობის გამო, ამასთან პირდაპირი დებატების დროს გამოთქმული აზრების რეფორმულირების ან უკან გახმობის შემცირებული შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა მსჯავრდებული პირის მიმართ.⁷

³ *Norwood v. the United Kingdom* (ECtHR 2004)

⁴ Ian Leigh, „Damned If They Do, Damned If They Don't: The European Court of Human Rights and the Protection of Religion from Attack,“ *Res Publica* 17, no. 1 (2011): 64.

⁵ *Gunduz v. Turkey* (ECtHR 2003): at 40.

⁶ *Ibid*, 51

⁷ *Ibid*, at 48, 49

სასამართლომ ჰომოფობიური გამოხატვა შეაფასა საქმეზე *Vejdeland and others v. Sweden* და ჩათვალა, რომ ჰომოფობიური შინაარსის ბუკლეტების დარიგებაზე შეზღუდვა სკოლებში არ წარმოადგენდა კონვენციით დაცული გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.⁸ სასამართლომ ლეგიტიმურად და დასაშვებად შეაფასა გარკვეულ თემაზე დებატების დანყების მცდელობა.⁹ ამის მიუხედავად, განაცხადა, რომ ბუკლეტის შინაარსი შეურაცხყოფას აყენებდა, ამცირებდა და რეპუტაციას ულახავდა საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სიძულვილის გაღვივება არ არის აუცილებელი მოიცავდეს ძალადობრივი ქმედებისკენ მოწოდებას და ჩათვალა, რომ ბუკლეტში მოცემული ფორმულირებები საკმარისად საზიანო იყო და ლეგიტიმურად ექვემდებარებოდა შეზღუდვას.¹⁰ ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საქმეში, სასამართლომ სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებული დისკრიმინაცია, „რასაზე, წარმომავლობაზე და კანის ფერზე“ დაფუძნებულ დისკრიმინაციას გაუთანაბრა.¹¹

საქმე *Murphy v. Ireland* ეხებოდა განმცხადებლისთვის დადგენილ აკრძალვას გაევრცელებინა რელიგიური ხასიათის აუდიო-ვიზუალური რეკლამა.¹² ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენელ მღვდელს სურდა გაევრცელებინა რეკლამა ქრისტეს აღდგომის შესახებ ფილმის ჩვენებასთან დაკავშირებით. რეკლამა მეტწილად ინფორმაციული ხასიათის იყო, თუმცა გარკვეულწილად მაინც ხდებოდა კონკრეტულ რწმენაზე მითითება. მაგალითად, ამბობდა რომ ქრისტე იყო ღმერთის ერთადერთი შვილი. სამაუწყებლო კომპანიამ რეკლამის გავრცელებაზე უარი განაცხადა, რადგან, მათი განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენდა „რელიგიურ რეკლამას“, რაც ირლანდიური კანონმდებლობის თანახმად, აკრძალული იყო. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ აკრძალვა მხოლოდ აუდიო-ვიზუალურ რეკლამას ეხებოდა და განმცხადებელს შეეძლო ნებისმიერი სხვა ფორმით გაევრცელებინა რეკლამა და განმარტა, რომ გასათვალისწინებელი იყო ბეჭდვით მედიასთან შედარებით ასეთი მედიის განსაკუთრებული ეფექტი საზოგადოებაზე. ევროპული სასამართლო შეეხო რეკლამის ბუნებასაც. მისი შეფასებით, საეთერო დროის ყიდვის შესაძლებლობა რეკლამის გავრცელების მიზნით, სხვა ჯგუფებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მეტი რესურსის მქონე რელიგიური ორგანიზაციებთან შედარებით. სასამართლომ გაითვალისწინა სახელმწიფოს არგუმენტი, რომ რელიგიური შინაარსის რეკლამის ყოველ

⁸ *Vejdeland and others v. Sweden* (ECtHR 2012): at 60.

⁹ *Ibid*: 54.

¹⁰ *Ibid*: 54, 55.

¹¹ Robert Wintemute, „Accommodating Religious Beliefs: Harm, Clothing or Symbols, and Refusals to Serve Others,“ *The Modern Law Review* 77, no. 2 (2014): 246. *Vejdeland and others v. Sweden* (ECtHR 2012): at 55.

¹² *Murphy v. Ireland* (ECtHR 2003): at 61.

კონკრეტულ შემთხვევაში, გადარჩევა მასში რელიგიური შინაარსის დასაშვები ხარისხის დასადგენად მეტ დისკომფორტს შეიცავდა, ვიდრე ზოგადად, აუდიო-ვიზუალური რელიგიური რეკლამის გამორიცხვა სამაუწყებლო სფეროდან.

მოცემულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა თანაზომიერად ჩათვალა სხვათა „რელიგიური გრძნობების პატივისცემის„ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად,¹³ ხაზი გაუსვა მე-9 მუხლით დაცული უფლებებით „მშვიდად სარგებლობის„ გარანტიებს, გამოხატვის თავისუფლების თანმდეგ „მოვალეობებს და პასუხისმგებლობას„¹⁴. ამასთან, სასამართლომ საკითხის რეგულირება სახელმწიფოსთვის მინიჭებული „ფართე მიხედულობის არეალს„ დაუქვემდებარა.¹⁵

ამერიკის უზენაესი სასამართლო

საქმეზე *Brandenburg v. Ohio* კუ-კლუქს-კლანის ლიდერი, ბრანდენბურგი, ცინცინატიის ტელევიზიაში ახალი ამბების წამყვანს დაუკავშირდა და დაპატიჟა კუ-კლუქს-კლანის შეკრებაზე. ორგანიზატორების დახმარებით, კორესპონდენტი და ოპერატორი შეკრებას დაესწრნენ და გადაიღეს. მასალების ნაწილი გადაიცა ადგილობრივი ტელევიზიით, მოგვიანებით კი, ტელევიზიების ეროვნული ქსელითაც. გადაღებულ მასალაში ნაჩვენები იყო კუ-კლუქს-კლანის სამოსში ჩაცმული თორმეტი პირი. ისინი შეკრებილები იყვნენ ხის ჯვრის გარშემო, რომელიც მოგვიანებით დაწვეს.

ჩანაწერზე დაფიქსირებული იყო შავკანიანების და ებრაელების წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები. ფილმში კლანის ტრადიციულ სამოსში გამონყოფილი მოსარჩლე ამბობდა: „[...] ჩვენ რევანშისტული ორგანიზაცია არ ვართ, მაგრამ თუ ჩვენი პრეზიდენტი, კონგრესი და უზენაესი სასამართლო გააგრძელებენ თეთრი რასის შევიწროებას, ჩვენ, შესაძლოა, რევანშისტული ზომებიც მივიღოთ. 4 ივლისს, მოვანყობთ შეკრებას კონგრესთან, სადაც ოთხასი ათასი ადამიანი მოვა. [...]“. მოსარჩელის სხვა განცხადებებიც ანალოგიური იყო: „პირადად მე ვფიქრობ, რომ შავკანიანები აფრიკაში უნდა დაბრუნდნენ, ხოლო ებრაელები - ისრაელში„. შეკრების ზოგიერთი მონაწილე შეიარაღებული იყო, თუმცა მოსარჩლეს იარაღი არ ჰქონდა.

მოსარჩელის მიმართ წაყენებული ბრალდება ეყრდნობოდა ზემოაღნიშნულ

¹³ Ibid, at 63.

¹⁴ Ibid, at 65

¹⁵ Ibid, at 67

ფილმს და მასში გაკეთებულ განცხადებებს. ბრალდება მტკიცებულებების სახით, ასევე წარადგინა ფილმში გამოჩენილი რამდენიმე საგანი: პისტოლეტი, გადაჭრილი თოფი, ლულიანი თოფი, საბრძოლო აღჭურვილობა, ბიბლია და კლანის წევრების „კაპიუშონიანი„ სამოსი.

აღნიშნულ საქმეზე, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებული მოსარჩელის მოთხოვნა, და გააუქმა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება. ამასთან განმარტა, რომ „ძალის გამოყენების ან კანონდარღვევის მხარდაჭერა„ დაცულია კონსტიტუციის პირველი შესწორებით (გამოხატვის თავისუფლებით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მხარდაჭერა მიზნად ისახავს უკანონო ქმედებისკენ წაქეზებას ან ასეთი შედეგის დადგომას და ამასთან, ასეთი წაქეზება და მყისიერი შედეგის დადგომაც შესაძლებელი და რეალურია.

დასკვნა

გაიდლაინი მიზნად ისახავს რელიგიის და რწმენის თავისუფლების დაცვის კუთხით საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიდგომების იდენტიფიცირებას და თავმოყრას. საერთაშორისო სამართალი ადგენს რელიგიის და რწმენის თავისუფლების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს, რაც არ ზღუდავს საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილე სახელმწიფოებს მინიმალურზე უფრო მაღალი სტანდარტით დაიცვან რელიგიური თუ არარელიგიური ჯგუფები. სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში კი, დაზარალებულ პირს ეროვნულ სასამართლოებში საქმის წარმოების ყველა საშუალების ამონურვის შემდეგ, აქვს უფლება საკუთარი დასაბუთებული მოთხოვნა წარადგინოს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების წინაშე.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) მიიჩნევს, რომ დოკუმენტს ფართო გამოყენება ექნება და მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევს რელიგიურ უმცირესობებს საკუთარი უფლებების რეალიზებაში.

